



**ცენტრალურ და აღმოსავლეთ  
ევროპაში დისტანციური  
მართლმსაჯულების  
პრაქტიკული სახელმძღვანელო**

## **ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სამართლის ინიციატივის (ცაეისი) ინსტიტუტი (The CEELI Institute)**

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სამართლის ინიციატივის ინსტიტუტი პრაღაში დაფუძნებული ჩეხური საზოგადოებრივი (არამომგებიანი) ორგანიზაციაა, რომელიც კანონის უზენაესობის ხელშეწყობისთვის მონოდედული იურიდიული და მართლმსაჯულების სფეროს პროფესიონალების საერთაშორისო ქსელის განვითარებასა და გადამზადებას ემსახურება. ინოვაციური ტრენინგ პროგრამებისა და სხვა აქტივობების მეშვეობით, ინსტიტუტი მუშაობს მოსამართლეებთან, იურისტებთან და სამოქალაქო საზოგადოების წევრებთან სამართლებრივი საზოგადოების მშენებლობისთვის. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სამართლის ინიციატივის ინსტიტუტი ამყობს მის მიერ შემუშავებული პროგრამების მრავალფეროვნებითა და ხარისხით, პროფესიონალებს შორის ინფორმაციისა და ცოდნის ურთიერთგაზიარების ხელშეწყობით, მისი პროგრამების ინოვაციურობითა და მონყვლად ქვეყნებში კანონის უზენაესობის გაძლიერებაში შეტანილი წვლილით. ინსტიტუტის ძალისხმევა მიმართულია დამოუკიდებელი, გამჭვირვალე და ეფექტური მართლმსაჯულების სისტემების შექმნაზე, დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებაზე, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ძალისხმევის ხელშეწყობაზე, რთული კონფლიქტების გადალახვაზე, ადამიანის უფლებების ხელშეწყობასა და რეპრესიულ გარემოში იურისტებისა და სამოქალაქო საზოგადოების წევრების მხარდაჭერაზე. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სამართლის ინიციატივის ინსტიტუტი მდებარეობს „ვილა გრებოვკა“-ში (the Villa Grébovka) პრაღაში, მეცხრამეტე საუკუნის ისტორიულ შენობაში, რომელიც ამჟამად განახლებულია ხელოვნების ნიმუშად ქცეულ რეზიდენციად და საკონფერენციო ცენტრად.

# ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში დისტანციური მართლმსაჯულების პრაქტიკული სახელმძღვანელო

ქართულ ენაზე თარგმნა თამარ ჭალიძემ.  
თარგმანის რედაქტორი - მოსამართლე შოთა ბიჭია.



## სარჩევი

მადლიერების გამოხატვა .....	5
წინასიტყვაობა .....	7
ტერმინთა განმარტება .....	9
აბრევიატურები .....	13
<b>თავი 1:</b> შესაძლებლობები და გამოწვევები დისტანციურ მართლმსაჯულებაში .....	15
<b>თავი 2:</b> მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტები, რომლებიც დაცული უნდა იყოს .....	19
საკონტროლო სია .....	19
ა. სამართლიანი სასამართლო გახილვისა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის მინიმალური სტანდარტები .....	21
ბ. სამართლიანი სასამართლოს უფლებები დისტანციურ მართლმსაჯულების კონტექსტში .....	23
გ. შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი ბაზა .....	29
<b>თავი 3:</b> დისტანციური სამართალწარმოებისთვის საქმის შესაბამისობის განსაზღვრა .....	31
საკონტროლო სია .....	31
ა. ზოგადი საკითხები .....	33
ბ. მტკიცებულებებთან დაკავშირებული საკითხები .....	35
გ. სპეციალური საკითხები .....	36
დ. ტექნიკური შეზღუდვები .....	37
<b>თავი 4:</b> ტექნოლოგიები და საქმეების მართვა .....	39
საკონტროლო სია .....	39
ა. სხვადასხვა ტექნოლოგიური პლატფორმა .....	41
ბ. საქმის მართვა .....	43
გ. ჰიბრიდული სხდომები .....	44
<b>თავი 5:</b> პრაქტიკული რჩევები დისტანციური სხდომების მართვისთვის .....	45
საკონტროლო სია .....	45
ა. მზადება დისტანციური სხდომისთვის .....	47
1. პირველადი საკითხები .....	47
2. წინასწარ ინსტრუქციის გაცემა .....	48
3. ტექნოლოგიური მხარდაჭერა (მოსამართლეებისთვის, პერსონალისთვის და მხარეებისთვის) .....	50
4. სხდომების დანიშნა .....	51

5. სხდომების წერილობითი ოქმების წარმოება .....	51
6. არაცნობიერი მიკერძობების გაცნობიერება .....	52
ბ. მხარეთა იდენტიფიცირება .....	53
გ. დისტანციური წარმოების დროს ქცევის პრინციპები .....	54
1. სხდომის დასაწყისში .....	54
2. დეკორაციები .....	55
3. წესრიგის დამრღვევი მონაწილეების მართვა, დარღვევის შედეგები და პასუხისმგებლობა დარღვევისთვის .....	56
4. სხდომის დასასრულს .....	57
დ. კლიენტსა და ადვოკატს შორის კომუნიკაცია .....	58
ე. მონმის ჩვენება .....	59
1. როდის უნდა შეაჩეროს ან შეაწყვეტინოს სასამართლომ მონმეს ჩვენების მიცემა? .....	59
2. მონწყვლადი, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მონმეების მხარდაჭერა და მართვა .....	59
3. არასათანადო ჩარევის პრევენცია და მართვა .....	60
ვ. საზოგადოების წვდომა .....	62
<b>თავი 6: მონაცემთა უსაფრთხოება, კონფიდენციალურობა და შენახვა .....</b>	<b>63</b>
საკონტროლო სია .....	63
ა. შესავალი .....	64
ბ. წერილობითი მტკიცებულების სახეები .....	66
გ. კონფიდენციალურობის საკითხები .....	67
1. მტკიცებულებებზე არაავტორიზებული წვდომა .....	67
2. მდებარეობა .....	68
3. ფაილების გაზიარება .....	68
დ. დოკუმენტების ავთენტურობა და მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა .....	69
ე. გაზიარება და შენახვა .....	71

## მადლიერების გამოხატვა

წინამდებარე სახელმძღვანელო შექმნილია ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სამართლის ინიციატივის ინსტიტუტის, ინსტიტუტის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მართლმსაჯულების ქსელის წევრებისა და ინსტიტუტის მიერ 2020 წლის მინურულსა და 2021 წლის დასაწყისში განხორციელებული პირველი „დისტანციური მართლმსაჯულების სასერთიფიკატო კურსის“ მონაწილეების მიერ. წინამდებარე დისტანციური მართლმსაჯულების პრაქტიკული სახელმძღვანელოს ჩაფიქრებისა და შედგენისათვის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სამართლის ინიციატივის ინსტიტუტი მადლობას უხდის სამუშაო ჯგუფს ამ კურსიდან:

მოსამართლე (გიორგი ანდონოვს) Gjorgji Andonov-ს, ჩრდილოეთ მაკედონია  
მოსამართლე შოთა ბიჭიას, საქართველო

მოსამართლე (ქსენია ფლექ მაკიტანს) Ksenija Flack Makitan-ს, ხორვატია  
მოსამართლე (რადოსლავა კაჩერილსკას) Radoslava Kacherilska-ს, ბულგარეთი  
მოსამართლე (სნეჟანა მარიანოვიჩს) Snežana Marjanović-ს, სერბეთი  
(ანდრეი ბოჟინოვსკის) Andrej Bozinovski-ს, ჩრდილოეთ მაკედონია

ამ დოკუმენტზე ისინი *pro bono* მუშაობდნენ - ანაზღაურების გარეშე, როგორც საზოგადოებრივი სამსახური მოსამართლეთა მუშაობის მხარდაჭერისათვის.

მადლობა ასევე რეიჩელ მარეის (Rachel Murray), ბრისტოლის უნივერსიტეტის (დიდი ბრიტანეთი) ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის პროფესორს და ამავე უნივერსიტეტის ადამიანის უფლებათა იმპლემენტაციის ცენტრის დირექტორს; ფრედა გრილის (Freda Grealy), პროგრამის უფროს მენეჯერს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სამართლის ინიციატივის ინსტიტუტში; ლილია ფესტა ზარიპოვას (Lilia Festa-Zaripova), კურსის ადმინისტრატორს (ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სამართლის ინიციატივის) ინსტიტუტში; და მელორი ჰადსონს (Malory Hudson) და მეგი უტეხტს (Maggie Utecht), ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სამართლის ინიციატივის ინსტიტუტის სამართლის სტაჟიორებს (უილიამისა და მერის სამართლის სკოლა (William & Mary Law School)) წინამდებარე სახელმძღვანელოს შექმნაში მათ მიერ შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის.



ამ პროექტის განხორციელება შესაძლებელი გახდა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო ნარკოტიკებთან დაკავშირებულ და კანონის აღსრულების საქმეთა ბიუროს (INL) გრანტითა და მუდმივი მხარდაჭერით.





## წინასიტყვაობა

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სამართლის ინიციატივის ინსტიტუტი მხარს უჭერს მოსამართლეებს და ატარებს მათთვის სასწავლო კურსებს ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში 2000 წლიდან. ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში დისტანციური მართლმსაჯულების წინამდებარე პრაქტიკული სახელმძღვანელო შემუშავებულია ინსტიტუტის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მართლმსაჯულების გრძელვადიანი გაცვლითი ქსელის ფარგლებში. 2012 წლიდან მოქმედი ქსელი შედგება საუკეთესო და ყველაზე გამოჩენილი ახალგაზრდა მოსამართლეებისგან რეგიონის ოცდაერთი ქვეყნიდან, რომლებიც სასამართლოს დამოუკიდებლობის, კეთილსინდისიერების, ანგარიშვალდებულებისა და სასამართლოს მართვის საკითხებში საუკეთესო პრაქტიკის გასაზიარებლად მუდმივად იკრიბებიან.

კოვიდ 19 პანდემიის ფონზე, მართლმსაჯულების სისტემები მთელ რეგიონსა და მსოფლიოში იძულებული გახდნენ ყოველდღიური საქმიანობის წესი სწრაფად შეეცვალათ. ბევრი სასამართლო იძულებული გახდა ციფრულ სფეროზე სწრაფად გადაწყობილიყო. ამის საპასუხოდ, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სამართლის ინიციატივის ინსტიტუტი ეძებდა მართლმსაჯულების სისტემების მხარდაჭერის გზებს პანდემიაზე გამკლავებასა და ახალი ვირტუალური პლატფორმების გამოყენების საქმეში. ჩვენ ახლა გასული თვრამეტი თვის გამოცდილების თავმოყრას და ამ შესაძლებლობის გამოყენებას ვცდილობთ, რათა მართლმსაჯულების სისტემებს დისტანციური მართლმსაჯულების პრაქტიკაზე გრძელვადიანი სახელმძღვანელო წესები მივაწოდოთ, რომელიც პანდემიის შემდეგაც აქტუალური დარჩება. ჩვენ გვჯერა, რომ ტექნოლოგიებისადმი და დისტანციური მართლმსაჯულებისადმი გაზრდილი ინტერესი შენარჩუნდება. ტექნოლოგიების გამოყენების ხელშეწყობა, რომელიც მართლმსაჯულების სისტემას აძლიერებს და უფრო ეფექტურ, დროულ და ყველა სათვის ხელმისაწვდომ მართლმსაჯულებას უზრუნველყოფს, ნებისმიერი თანამედროვე სასამართლო სისტემის მთავარი პასუხისმგებლობაა.

ამ მანდატით, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სამართლის ინიციატივის ინსტიტუტმა შექმნა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში დისტანციური მართლმსაჯულების პრაქტიკული სახელმძღვანელო წინამდებარე პირველი გაფართოებული გამოცემა. ეს გამოცემა მოსდევს და ავსებს ცაესის (ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სამართლის ინიციატივის) ინსტიტუტის მიერ 2021 წლის აპრილში გამოქვეყნებულ წინამორბედი სახელმძღვანელო წინადადებების გამოცემას. ეს სახელმძღვანელო გამომდინარეობს გასული წლის განმავლობაში ჩვენი სასწავლო კურსების: „დისტანციური მართლმსაჯულების საუკეთესო პრაქტიკა“, რომელიც ჩატარდა ონლაინ 2020 წლის შემოდგომიდან 2021 წლის გაზაფხულამდე პერიოდში და „ციფრული მართლმსაჯულება ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში სამართლიანობის, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის მიღწევისათვის“, რომელიც ასევე ონლაინ 2021 წლის აპრილიდან ივნისამდე პერიოდში მიმდინარეობდა, ფარგლებში პრაქტიკოსი მოსამართლეების დისკუსიებიდან. წინამდებარე სახელმძღვანელო წინადადებები არის მართლმსაჯულებაში ინოვაციისა და მართლმსაჯულების ადაპტაციის პროდუქტი და ასახავს ჩვენი ქსელის წევრების გამოცდილებას, დისკუსიებსა და პრაქტიკას გასული წლის განმავლობაში. ამ დოკუმენტის მიზანია არსებული რეალობის შეჯამება, პრობლემის რეალისტური

გადანყვეტის შემუშავება და პრაქტიკული რჩევების შეთავაზება, რათა მომავალში დისტანციური მართლმსაჯულებისთვის ერთგვარი ჩარჩოს შექმნა უზრუნველყოს. დისტანციური მართლმსაჯულება თანამედროვე მართლმსაჯულების სისტემის განუყოფელი ნაწილია და მოსამართლეებსა და პრაქტიკოსებს დასჭირდებათ ადაპტაციის გაგრძელება, რადგან ეს პროცესები კვლავ განაგრძობს განვითარებას. ეს დოკუმენტი შექმნილია მოსამართლეებისთვის, ასევე მათთვის, ვინც პასუხისმგებელია მართლმსაჯულების პოლიტიკისა და სასამართლო პრაქტიკის მიმართულების განსაზღვრაზე, მათ შორის იუსტიციის საბჭოების წევრებზე, სასამართლოს თავმჯდომარეებზე, მოსამართლეთა ასოციაციების ოფიციალურ პირებსა და სასამართლო ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებზე, რომლებიც პასუხისმგებელი არიან მოსამართლეთა საქმიანობის მონეხრიგებაზე.

ამ დოკუმენტის შექმნისას ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სამართლის ინიციატივის ინსტიტუტმა და ქსელში გაერთიანებულმა მოსამართლეებმა იხელმძღვანელეს მასალებისა და ინფორმაციის წყაროების ფართო სპექტრით, მათ შორის მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციის პოლიტიკითა და რჩევებით. საბოლოოდ, მივუთითებთ, რომ წინამდებარე სახელმძღვანელო გამიზნულია მხოლოდ როგორც სახელმძღვანელო პრინციპები და არა როგორც „საუკეთესო პრაქტიკა“. მიუხედავად იმისა, რომ ეს სახელმძღვანელო წარმოადგენს რჩევების პრაქტიკულ ნაკრებს, მნიშვნელოვანია ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ მოსამართლის ქცევა ყოველთვის უნდა შეესაბამებოდეს არსებულ საერთაშორისო სტანდარტებს, ასევე ეროვნულ სამართალს, რეგულაციებსა და იუსტიციის საბჭოების შესაბამის მითითებებს.

როგორც აღინიშნა, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სამართლის ინიციატივის ინსტიტუტის მართლმსაჯულების გაცვლითმა ქსელმა ამ სახელმძღვანელო წესების წინასწარი ნაკრები 2021 წლის აპრილში გამოაქვეყნა, რომელიც პანდემიის საწყის ეტაპებზე მიღებულ გამოცდილებას ასახავს. აღნიშნული დოკუმენტი დიდწილად მომზადდა მოსამართლეების მიერ, რომლებიც დისტანციური მართლმსაჯულების პირველ საერთოფიკატო კურსში მონაწილეობდნენ. სახელმძღვანელოს წინამდებარე განახლებული და განვრცობილი ვერსია ჩვენი ქსელის მოსამართლეების მიერ გასული წლის განმავლობაში დაგროვებულ გამოცდილებასა და შემუშავებულ პრაქტიკას ასახავს. წინამდებარე სახელმძღვანელო რეგიონულ ენებზე გადაითარგმნება. გთხოვთ, დაუკავშირდეთ [Freda.grealy@ceeli.eu](mailto:Freda.grealy@ceeli.eu) თუ თქვენ ამ კუთხით კონკრეტული წინადადება გაქვთ.

## ტერმინთა განმარტება

სხვადასხვა მართლმსაჯულების სისტემებისა და სასამართლოების მიერ გამოყენებული ტერმინების მრავალფეროვნების გათვალისწინებით, წინამდებარე ტერმინთა განმარტება ამ დოკუმენტში მოხსენიებული ტერმინების (არაოფიციალურ) განმარტებებს წარმოადგენს.

- **სარეზერვო სისტემა (Back-up system)** – ფაილების და სისტემის სპეციფიკური, სასარგებლო/აუცილებელი მონაცემების დუბლირების პროცესი, იმ შემთხვევისთვის, თუ ისინი დაზიანდება, ნაიშლება ან დაიკარგება.
- **გამტარუნარიანობა (Bandwidth)** – ინტერნეტ კავშირის სიჩქარე, რომელიც გამოიხატება მონაცემთა რაოდენობაში, რომელიც ფიქსირებულ დროში შეიძლება გადაიცეს.<sup>1</sup>
- **განმარტების ოთახები (Break-out rooms)** – ფუნქცია, რომელიც პროგრამის ადმინისტრატორს მონაწილეების ვირტუალურ ოთახებში (ე.ი., სასამართლო სხდომის დარბაზიდან განცალკევებით) განთავსების საშუალებას აძლევს.<sup>2</sup>
- **საქმის წარმოების პროგრამა (Case management)** – სისტემა, რომელსაც სასამართლო იყენებს ფაილების განსათავსებლად, მტკიცებულებების შესანახად და საქმის მონაწილეებსა და სასამართლოს შორის საჭირო წერილობითი მონაცემების გასაცვლელად.
- **კავშირი (Connection)** – ინტერნეტზე წვდომა, რომელიც მომხმარებელს ვიდეო ან აუდიო შეხვედრაში მონაწილეობის საშუალებას აძლევს.<sup>3</sup>
- **მონყობილობა (Device)** – საკომუნიკაციო მიზნებისთვის გამოყენებული ელექტრონული მონყობილობა (მაგ., ტელეფონი, ტაბლეტი, კომპიუტერი).<sup>4</sup>
- **ელექტრონული მტკიცებულება (Electronic evidence)** – ციფრული ფორმით შენახული ან გადაცემული ნებისმიერი მტკიცებულებითი ინფორმაცია.<sup>5</sup>

<sup>1</sup> ვიქტორიის უზენაესი სასამართლო. 2021. ვირტუალური სასამართლო სხდომების ტერმინთა განმარტება. [ონლაინ] ხელმისაწვდომია ბმულზე:

<https://www.supremecourt.vic.gov.au/law-and-practice/virtual-hearings/virtual-hearings-glossary>

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> SHERLOC UNODC. 2021. ელექტრონული მტკიცებულება. [ონლაინ] ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://sherloc.unodc.org/cld/topics/electronic-evidence/index.html?lng=en>

- **ელექტრონული ხელმოწერა (Electronic signature)** – ნებისმიერი სახის ხელმოწერა ელექტრონულ ფორმატში.<sup>6</sup>
- **სასამართლო სხდომა (Hearing)** – სამართალწარმოების პროცესი, სადაც განიხილება კანონის ან ფაქტის საკითხი და საკითხის გადაწყვეტაში დასახმარებლად წარმოდგენილია მტკიცებულებები; ან ფორმალური, სამოქალაქო თუ სისხლის სამართლის საქმის განხილვა მოსამართლის წინაშე, კონკრეტული იურისდიქციის სამართლის შესაბამისად.<sup>8</sup>
- **ადმინისტრატორი (Host)** – დისტანციური სასამართლო სხდომის ძირითადი ოპერატორი.<sup>9</sup>
- **ჰიბრიდული მოსმენა (Hybrid hearing)** – მოსმენა, რომელშიც მონაწილეთა ნაწილი იმყოფება სასამართლო სხდომის დარბაზში (ჩვეულებრივ, მოსამართლე მაინც) და სხვები ინტერნეტის საშუალებით სხვა ადგილიდან სხდომას დისტანციურად უერთდებიან.
- **პირდაპირი ტრანსლაცია (Live streaming)** – აუდიო და/ან ვიდეო მონაცემების რეალურ დროში (წინასწარ ჩაუნერეული) გადაცემა.
- **ხმის გამორთვის/ჩართვის ფუნქცია (Mute/Unmute function)** – ფუნქცია, რომელიც ვიდეო ან აუდიო შეხვედრაზე მიკროფონის გათიშვის/ჩართვის საშუალებას იძლევა, როცა მიკროფონი არ გადასცემს ხმას და სხვა მონაწილეებს ხმა არ ესმით.<sup>10</sup>
- **პლატფორმა (Platform)** – (ვიდეო და/ან აუდიო) კომუნიკაციო მომსახურება, რომელიც ციფრულ შეხვედრებს შესაძლებელს ხდის ელექტრონული ფოსტით მონვევის ან ტელეფონზე დარეკვის მეშვეობით (როგორცაა ზუმი (Zoom), ვებექსი (Webex)).<sup>11</sup>

<sup>6</sup> Cryptomathic. 2021. რა არის ელექტრონული ხელმოწერა? [ონლაინ] ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.cryptomathic.com/products/authentication-signing/digital-signatures-faqs/what-is-an-electronic-signature>

<sup>7</sup> The Free Dictionary. 2021. სასამართლო სხდომა [ონლაინ] ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://legal-dictionary.thefreedictionary.com/hearing>

<sup>8</sup> Encyclopedia Britannica. 2021. მოსმენა. [ონლაინ] ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.britannica.com/topic/hearing-law>

<sup>9</sup> ვიქტორიის უზენაესი სასამართლო. 2021. ვირტუალური სასამართლო სხდომების ტერმინთა განმარტება. [ონლაინ] ხელმისაწვდომია ბმულზე <https://www.supremecourt.vic.gov.au/law-and-practice/virtual-hearings/virtual-hearings-glossary>

<sup>10</sup> იქვე.

<sup>11</sup> იქვე.

- **დისტანციური სასამართლო სხდომა (Remote Hearing)** – სასამართლო სხდომა, როცა მოსამართლეები, მხარეები, წარმომადგენლები და/ან მოწმეები („მონაწილეები“) ფიზიკურად არ იკრიბებიან ერთსა და იმავე ფიზიკურ ადგილზე. ის ჩვეულებრივ მოიცავს გარკვეული სახის ვიდეო ბმულს ან სატელეფონო მექანიზმს.<sup>12</sup> ზოგჯერ მას ასევე უწოდებენ „ონლაინ“ ან „ვირტუალურ“ სასამართლო სხდომას.<sup>13</sup>
- **ეკრანის გაზიარება (Screen sharing)** – კონკრეტული კომპიუტერის ეკრანზე წვდომის გაზიარება.<sup>14</sup>
- **სასამართლო უწყება (Subpoena)** – სასამართლოს მიერ გაცემული მითითება; მაგალითად, დოკუმენტი, რომელიც პირს სასამართლოში გამოცხადებას ავალდებულებს.

<sup>12</sup> ჩრდილოეთ ირლანდიის უზენაესი სასამართლო, დროებითი პრაქტიკის მიმართულება 01/2020 დისტანციური სასამართლო სხდომები <https://www.judiciaryni.uk/sites/judiciary/files/decisions/Practice%20Direction%2001-20.pdf>; Michigan Legal Help. 2021. რას უნდა ველოდოთ ვირტუალურ სასამართლო სხდომაზე [ონლაინ] ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://michiganlegalhelp.org/self-help-tools/going-court/what-expect-virtual-hearing>

<sup>13</sup> ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (ODIHR), სამართლიანი სასამართლოს უფლებები და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საფრთხეები 2021, [https://www.osce.org/files/f/documents/3/8/487471\\_0.pdf](https://www.osce.org/files/f/documents/3/8/487471_0.pdf); ვიქტორიის უზენაესი სასამართლო. 2021. ვირტუალური სასამართლო სხდომების ტერმინთა განმარტება. [ონლაინ] ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.supremecourt.vic.gov.au/law-and-practice/virtual-hearings/virtual-hearings-glossary>

<sup>14</sup> იხილეთ მაგ. HM Courts & Tribunal Service. 2021. როგორ გავაზიაროთ დოკუმენტები ქლაუდ ვიდეო პლატფორმაზე დაფუძნებულ ვიდეო სასამართლო სხდომაზე [ონლაინ] ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.gov.uk/government/publications/how-to-join-a-cloud-video-platform-cvp-hearing/how-to-share-documents-in-a-cloud-video-platform-video-hearing#share-your-screen>



## აბრევიატურები

**COE** - ევროპის საბჭო (Council of Europe)

**CCJE** - ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო  
(Consultative Council of European Judges)

**CEPEJ** - მართლმსაჯულების ეფექტურობის ევროპული კომისია  
(European Commission for the Efficiency of Justice)

**ECHR** - ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია  
(European Convention on Human Rights)

**ECtHR** - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო  
(European Court of Human Rights)

**eIDAS** - ელექტრონული იდენტიფიკაციის ავთენტურობა და სანდო სერვისები  
(Electronic Identification Authentication and Trust Services)

**GDPR** - მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაცია  
(General Data Protection Regulation)

**ICCPR** - საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (International Covenant on Civil and Political Rights)

**IT** - ინფორმაციული ტექნოლოგიები (Information technology)

**LAN** - ადგილობრივი ქსელი (Local Area Network)

**OSCE/ODIHR** - ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია/  
დემოკრატიული ინიციატივებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (Organization  
for Security and Cooperation in Europe/Office of Democratic Initiatives and  
Human Rights)





## თავი 1:

### შესაძლებლობები და გამოწვევები დისტანციურ მართლმსაჯულებაში

დისტანციური მართლმსაჯულება არის სასამართლო სხდომების ჩატარება ან სასამართლოს საქმიანობის ფარგლებში სხვა სახის ქმედების განხორციელება (მათ შორის მტკიცებულებებისა და დოკუმენტების გაცვლა), როცა ერთი ან მეტი მონაწილე, მოსამართლის ჩათვლით, შეიძლება ფიზიკურად პირადად სხვა მონაწილეებთან ერთად არ იმყოფებოდეს, თუმცა ტექნოლოგიების ან ელექტრონული საშუალებების გამოყენებით მონაწილეობდეს. როგორც ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციამ (ევთო) აღნიშნა: „ასეთი ტექნოლოგიური გადაწყვეტები მოიცავს ვიდეო პლატფორმებს დისტანციური მოსმენების ჩასატარებლად, სისტემებს, რომლებიც უზრუნველყოფენ დოკუმენტების შექმნას/შეტანას, გავრცელებასა და გაზიარებას, საქმეების ელექტრონულ მართვას და ელ-ხელმოწერებს. ასეთი ტექნოლოგიების გამოყენება ინტერნეტთან კავშირს, მონაცემთა უსაფრთხოებას და სასამართლოს მომხმარებლების კომპიუტერებზე, კამერებზე/ვებკამერებზე, მიკროფონებზე, ეკრანებსა და Wi-Fi-ზე ნედრობას მოითხოვს.“<sup>15</sup>

#### დისტანციური მართლმსაჯულება ბევრ შესაძლებლობას იძლევა:

- ციფრულ ტექნოლოგიებს აქვთ პოტენციალი **გაზარდონ მართლმსაჯულების სისტემების ხელმისაწვდომობა და ეფექტურობა, იმ პირობით, რომ** დაცული იქნება სამართლიანობის, მიუკერძოებლობისა და სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპები.<sup>16</sup>
- ახალი ტექნოლოგიები **აღამიანებს აკავშირებს** სხვადასხვა გზით. მოსამართლე, საქმის მხარეები, ადვოკატები და მოწმეები სასამართლო დარბაზში ერთდროულად ფიზიკურად არ იმყოფებიან, მაგრამ ისინი ონლაინ პლატფორმაზე ერთად არიან. სხდომებზე დასწრებამ და სასამართლო დარბაზმა ახალი მნიშვნელობა შეიძინა.
- დისტანციური სხდომა **ზრდის მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის შესაძლებლობას იმ მხარეებისთვის, რომლებიც არ იმყოფებიან** იმავე ადგილას, სადაც სასამართლო მდებარეობს, რაც მათ სამართალწარმოებაში უშუალო მონაწილეობის საშუალებას აძლევთ. დისტანციური მოსმენების ჩატარება შეიძლება უფრო იაფი იყოს, რადგან მხარეებს ტრანსპორტირების ხარჯები არ აქვთ, შესაძლოა სამსახურიდან უფრო ნაკლები დროით გათავისუფლება დასაჩირდეთ, ადვოკატის მომსახურების უფრო ნაკლები სხდომების შესაძლებლობასაც, რომლებიც შესაძლოა სხვაგვარად საერთოდ ვერ გამართულიყო.

<sup>15</sup> ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და აღამიანის უფლებათა ოფისი (ODIHR), *სასამართლოების ფუნქციონირება Covid-19 პანდემიის დროს, ბროშურა, ოქტომბერი 2020, გვ.20.*

<sup>16</sup> CEPEJ, *ევროპის მართლმსაჯულების სისტემები, CEPEJ შეფასების ანგარიში, 2020 შეფასების ციკლი, <https://rm.coe.int/evaluation-report-part-1-english/16809fc058>*

- დისტანციურმა სხდომამ ასევე შესაძლოა **სასამართლოსადმი ნდობა გააძლიეროს**. მოსამართლეებს ერთი და იმავე ქვეყნის ფარგლებში შეუძლიათ განიხილონ საქმეები ამ საქმეების წარმოშობის ადგილის მიუხედავად, რითაც სპეციალური ცოდნის მქონე მოსამართლეების ხელმისაწვდომობა იზრდება.
- დისტანციური სხდომები **გონივრულ ვადაში** უფრო მარტივად შეიძლება ჩატარდეს, რითაც სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთი კომპონენტი დაკმაყოფილდება.
- დისტანციური მოსმენები სახელმწიფოსთვის შეიძლება **უფრო ეკონომიური** იყოს, რადგან სასამართლოს შენობაში პირისპირ მოსმენებისთვის ნაკლები სივრცე შეიძლება იყოს საჭირო. მათი ორგანიზება შესაძლებელია სასამართლოს შენობის გარეშე ან მის ფარგლებს გარეთ, სასამართლოს ბოგიერთი თანამშრომლის (მაგ., დაცვის თანამშრომლების) მონაწილეობის გარეშე.
- მას შეუძლია გაამარტივოს დოკუმენტების გაცვლა. როგორც ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭომ (CCJE) აღნიშნა: „მხარეებს და მათ წარმომადგენლებს შეუძლიათ მიიღონ ინფორმაცია იმ საქმეების შესახებ, რომლებშიც ისინი სასამართლოში მონაწილეობენ. ამ გზით, მათ შეუძლიათ თავიანთი საქმის მიმდინარეობას კომპიუტერიზებული საქმის ისტორიაზე წვდომით თვალყური ადევნონ.“<sup>17</sup>
- **მართლმსაჯულების სისტემის მოქნილობა** შეიძლება დისტანციური სხდომებით გაიზარდოს. დისტანციური სხდომები გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინების გარეშე მოსამართლეებს შორის საქმეების უფრო თანაბრად გადანაწილების საშუალებას იძლევა.
- დისტანციურ მოსმენებს აქვს პოტენციალი, **გაზარდოს გამჭვირვალობა და მონიტორინგი** საზოგადოების, პრესის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და აკადემიური საზოგადოების მხრიდან; მაგალითად, ვიდეოს მეშვეობით დასწრებამ და პირდაპირმა ტრანსლაციამ შეიძლება მოსმენებზე მათი წვდომა გაზარდოს, ვინც მართლმსაჯულების სისტემას ადევნებს თვალ-ყურს.<sup>18</sup>

<sup>17</sup> ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო, მოსაზრება No. 14 CCJE-ს მართლმსაჯულება და საინფორმაციო ტექნოლოგიები (IT), მიღებული CCJE-ს მე-12 პლენარულ სხდომაზე (სტრასბურგი, 7-9 ნოემბერი 2011 წ.), <https://rm.coe.int/168074816b>, პარაგრაფი 5.

<sup>18</sup> ევროპის კომისია. 2021. მართლმსაჯულების გაციფრულება. [ონლაინ] ხელმისაწვდომია ბმულზე: [https://ec.europa.eu/info/policies/justice-and-fundamental-rights/digitalisation-justice\\_en](https://ec.europa.eu/info/policies/justice-and-fundamental-rights/digitalisation-justice_en)

**თუმცა, ჯერ კიდევ არსებობს პრაქტიკული გამოწვევები, რომლებსაც სასამართლოები დისტანციურ მართლმსაჯულებაში აწყდებიან:**

- **დისტანციურმა მოსმენამ შეიძლება სამართლიანი სასამართლოს უფლებისა და მართლმსაჯულების სტანდარტების დარღვევის რისკები გაზარდოს** – ყველა შემთხვევა შეიძლება დისტანციურად ვერ იქნეს განხილული. სამართლიანი სასამართლოს უფლების შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტები დაცული უნდა იყოს.
- **ქალაქებში დაფუძნებული პროცესები** – ბევრ სისტემაში სასამართლოები ოფიციალური ჩანაწერებისთვის კვლავ ქალაქს იყენებენ და ჯერ კიდევ მოითხოვება სველი ხელმოწერები ავთენტიფიკაციასთან ერთად. ეს სასამართლოები დოკუმენტების მიღების, დამუშავების, შენახვისა და გადაადგილების მძიმე ტვირთთან ბრძოლის პროცესში არიან.
- **ნოტარიულად დამოწმების**<sup>19</sup> მოთხოვნამ შეიძლება შეზღუდოს მართლმსაჯულებაზე დისტანციური ან ვირტუალური წვდომა ხარჯებისა და პროცესის სირთულის გამო.
- **საკითხის დროებითიდან მუდმივ გადაწყვეტებზე გადასვლა** – საგანგებო მდგომარეობის პერიოდში ციფრული პროცესებისთვის დაშვებულია დროებითი წესები; ხშირ შემთხვევაში, პანდემიის შემდეგ, ეს რეგულაციები შეიძლება გაუქმდეს. დიდი ძალისხმევა დასჭირდება ქალაქებში დაფუძნებული პროცესებიდან სამუდამოდ დისტანციურ პროცესებზე გადასვლის უზრუნველყოფას.

<sup>19</sup> კვალიფიცირებული ნოტარიუსის მიერ ნოტარიულად დამოწმების მეთოდი მხარეების მიერ წარდგენილი სასამართლო დოკუმენტებისა და განცხადებების ავთენტურობის დასადასტურებლად ხშირად გამოიყენება.



## თავი 2: მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტები, რომლებიც დაცული უნდა იყოს

### საკონტროლო სია



სამართლიანი სასამართლოს საერთაშორისო სტანდარტები მოთხოვნა:

- ✓ საქმეები განხილულია კანონის საფუძველზე შექმნილი კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ტრიბუნალის (სასამართლოს) მიერ
- ✓ მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია
- ✓ მხარეებს უფლება აქვთ, რომ მათი არგუმენტები მოსმენილი იყოს
- ✓ დაცვის უფლება გარანტირებულია
- ✓ ბრალდებულებს აქვთ იურიდიული დახმარების უფლება მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე
- ✓ მხარეთა თანასწორობა გარანტირებულია
- ✓ მხარეებს საქმის საჯაროდ განხილვის უფლება აქვთ
- ✓ სასამართლო გადაწყვეტილება საჯაროდ უნდა გამოცხადდეს
- ✓ სასამართლო საქმის განხილვა გონივრულ ვადაში უნდა ჩატარდეს
- ✓ მხარეებს სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალება აქვთ
- ✓ მხარეებს უფლება აქვთ, რომ თავიანთ ადვოკატებთან კომუნიკაცია თავისუფლად და პირადად ჰქონდეთ

სისხლის სამართლის საქმეებში ბრალდებულებისთვის დამატებითი გარანტიები არსებობს:

- ✓ მათთვის გასაკვებ ენაზე დროულად და დეტალურად იყვნენ ინფორმირებული მათ მიმართ წაყენებული ბრალდების შინაარსისა და საფუძველის შესახებ
- ✓ ჰქონდეთ ადეკვატური დრო და საშუალებები მათი დაცვის მოსამზადებლად და მათ მიერ არჩეულ ადვოკატებთან კომუნიკაციისთვის

- ✓ გასამართლდნენ მათი უშუალო დასწრებით და დაიცვან თავი, საკუთარი არჩევანის საფუძველზე, პირადად ან იურიდიული დახმარების გზით
- ✓ ინფორმირებულნი იყვნენ ამ უფლების შესახებ, თუ ისინი იურიდიული დახმარებით არ სარგებლობენ
- ✓ ნებისმიერ შემთხვევაში მიიღონ იურიდიული დახმარება, როდესაც ამას მართლმსაჯულების ინტერესები მოითხოვს, გადახდის გარეშეც, თუ მათ გადასახდელად საკმარისი საშუალებები არ გააჩნიათ
- ✓ დაკითხონ მათ წინააღმდეგ ჩვენების მიმცემი მონშეები და მათ სასარგებლოდ ჩვენების მიმცემი მონშეების დასწრებისა და დაკითხვის ისეთივე პირობებით ისარგებლონ, როგორც მათ წინააღმდეგ ჩვენების მიმცემი მონშეები სარგებლობენ
- ✓ ისარგებლონ თარჯიმნის უფასო დახმარებით, თუ მათ სამართალწარმოების ენის გაგება და ამ ენაზე საუბარი არ შეუძლიათ

## ა. სამართლიანი სასამართლო გახილვისა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის მინიმალური სტანდარტები

სამართლიანი სასამართლოსა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად საერთაშორისო ინსტრუმენტები მინიმალურ სტანდარტებს ითვალისწინებს. სამართლიანი სასამართლოს უფლება ჩამოყალიბებულია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის (ICCPR) მე-14 მუხლში და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (ECHR) მე-6 მუხლში, ასევე ევროკავშირის ადამიანის ძირითად უფლებათა ქარტიის 47-ე მუხლში.<sup>20</sup> ეს გარანტიები მოიცავს უფლებას:

- გონივრულ ვადაში სამართლიან განხილვაზე;
- კანონის საფუძველზე შექმნილი კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ტრიბუნალის მიერ განხილვაზე;
- საჯარო განხილვაზე.

ამ დებულებების შესაბამისად, ყველას, ვინც ბრალდებულია სისხლის სამართლის დანაშაულში, უნდა ჰქონდეს შემდეგი უფლებები და მინიმალური გარანტიები:

- ითვლებოდეს უდანაშაულოდ, სანამ მისი დამნაშავეობა კანონის საფუძველზე არ დამტკიცდება;
- დაუყოვნებლივ და დეტალურად იყოს ინფორმირებული მისთვის გასაგებ ენაზე მის მიმართ წაყენებული ბრალდების შინაარსისა და საფუძველების შესახებ;
- ჰქონდეს ადეკვატური დრო და საშუალებები დაცვის მოსამზადებლად და მის მიერ არჩეულ ადვოკატთან კომუნიკაციისთვის;
- გასამართლდეს გაჭიანურების გარეშე;
- გასამართლდეს მისი უშუალო დასწრებით და დაიცვას საკუთარი თავი, თავისივე არჩევანით, პირადად ან იურიდიული დახმარების საშუალებით;
- თუ იგი იურიდიული დახმარებით არ სარგებლობს, ინფორმირებული იყოს ამ უფლების შესახებ; და მიიღოს იურიდიული დახმარება ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც ამას მართლმსაჯულების ინტერესები მოითხოვს, გადახდის გარეშე, თუ მას გადასახდელად საკმარისი საშუალებები არ გააჩნია;

<sup>20</sup> იხილეთ აგრეთვე ევროპის საბჭოს ვენეციის კომისია, კანონის უზენაესობის საკონტროლო სია, მიღებული ვენეციის კომისიის მიერ 106-ე პლენარულ სესიაზე (ვენეცია, 11-12 მარტი 2016 წ.) [https://www.venice.coe.int/images/SITE%20IMAGES/Publications/Rule\\_of\\_Law\\_Check\\_List.pdf](https://www.venice.coe.int/images/SITE%20IMAGES/Publications/Rule_of_Law_Check_List.pdf)

- დაკითხონ მათ წინააღმდეგ ჩვენების მიმცემი მოწმეები და მათ სასარგებლოდ ჩვენების მიმცემი მოწმეების დასწრებისა და დაკითხვის ისეთივე პირობებით ისარგებლონ, როგორც მათ წინააღმდეგ ჩვენების მიმცემი მოწმეები სარგებლობენ;
- ისარგებლონ თარჯიმნის უფასო დახმარებით, თუ მათ სამართალწარმოების ენის გაგება და ამ ენაზე საუბარი არ შეუძლიათ;
- არ აიძულონ, მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ ან აღიაროს დანაშაული;
- ყველას, ვინც დანაშაულისთვის მსჯავრდებულია, მისი ნასამართლობისა და სასჯელის ზემდგომი სასამართლოს მიერ კანონის შესაბამისად გადასინჯვის უფლება აქვს;
- არავინ შეიძლება დაექვემდებაროს ხელახლა გასამართლებას ან დასჯას იმ დანაშაულისთვის, რომლისთვისაც იგი უკვე საბოლოოდ იქნა მსჯავრდებული ან გამართლებული თითოეული ქვეყნის კანონისა და სისხლის სამართლის პროცედურების შესაბამისად;
- უფლებების დარღვევის შემთხვევაში, ისარგებლოს სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებით.

ამ უფლებებიდან ნებისმიერი გადახვევა უნდა იყოს დროებითი და აუცილებლობისა და პროპორციულობის პრინციპებს ექვემდებარებოდეს.<sup>21</sup> კანონის უზენაესობის ფუნდამენტური პრინციპი პირველ რიგში უნდა იყოს დაცული საგანგებო მდგომარეობის დროსაც კი.

<sup>21</sup> ვენეციის კომისიის მიერ 124-ე ონლაინ პუნჯარულ სესიაზე მიღებული შუალედური ანგარიში ევროკავშირის ნეერ ქვეყნებში კოვიდ-19-ის კრიზისის შედეგად მიღებული ზომებისა და მათი გავლენის შესახებ დემოკრატიაზე, კანონის უზენაესობასა და ფუნდამენტურ უფლებებზე (8-9 ოქტომბერი 2020) მოსაზრება No. 995/2020 CDL-AD (2020)018 [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2020\)018-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2020)018-e)



## ბ. სამართლიანი სასამართლოს უფლებები დისტანციური მართლმსაჯულების კონტექსტში

რაც შეეხება ამ უფლებების გამოყენებას დისტანციური მართლმსაჯულების კონტექსტში, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (ECtHR) ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი დისტანციური სხდომებისა და სამართალწარმოების კონტექსტში შემდეგნაირად განმარტა:

- დისტანციური მონაწილეობა სულაც არ არის შეუთავსებელი ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან (სახნოვსკი რუსეთის წინააღმდეგ (*Sakhnovskiy v. Russia*), დიდი პალატა, 2 ნოემბერი, 2010 წ.), მაგრამ არცერთი მხარე არ უნდა იქნეს ჩაყენებული არსებითად არახელსაყრელ მდგომარეობაში (მარჩელო იტალიის წინააღმდეგ (*Marcello v. Italy*), 5 ოქტომბერი, 2006 წ.).
- „ფიზიკური დასწრება შეიძლება არ იყოს აუცილებელი მანამ, სანამ სასამართლო უზრუნველყოფს მხარის მიერ ამა თუ იმ პირის საქმის ეფექტურად წარმოდგენის უფლებას“ (ევდოკიმოვი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ, (*Yevdokimov and Others v. Russia*), 16 თებერვალი, 2016 წ.).
- საქმის სამართლიანი განხილვისთვის იურიდიული წარმომადგენლობის მნიშვნელობა გადამწყვეტია, თუმცა ამასთან დაკავშირებით არსებული მოთხოვნები განსხვავებულია საქმის გარემოებებიდან გამომდინარე (ვლადიმერ ვასილიევი რუსეთის წინააღმდეგ (*Vladimir Vasilyev v. Russia*), 10 იანვარი, 2012 წ.).
- პირს უნდა შეეძლოს სამართალწარმოებისთვის თვალყურის დევნა (გორბუნოვი და გორბაჩოვი რუსეთის წინააღმდეგ, *Gorbunov and Gorbachev v. Russia*, 1 მარტი, 2016 წ.).
- ბრალდებულსა და მის ადვოკატს შორის პირადი კომუნიკაციის შესაძლებლობა უნდა არსებობდეს (ტრეპაშკინი რუსეთის წინააღმდეგ *Trepashkin v. Russia* (no. 2), 16 დეკემბერი, 2010 წ.).

## ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესაბამისი პრაქტიკა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლთან დაკავშირებით

სახნოვსკი რუსეთის წინააღმდეგ (*Sakhnovskiy v. Russia*), დიდი პალატა, 2 ნოემბერი, 2010 წ. (სასამართლო სხდომაზე დისტანციური მონაწილეობა ყოველთვის არ ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას).

სახნოვსკის საქმეში ვიდევ კავშირის გამოყენებასთან მიმართებაში „სასამართლომ კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ სამართალწარმოებაში მონაწილეობის ეს ფორმა არ არის... შეუთავსებელი სამართლიანი სასამართლოსა და საჯარო განხილვის ცნებასთან, [თუმცა] უზრუნველყოფილი უნდა იყოს ტექნიკური შეფერხების გარეშე განმცხადებლის მიერ სამართალწარმოებისათვის თვალ-ყურის დევნის, მისი პოზიციების მოსმენისა და ადვოკატთან ტექნიკური და კონფიდენციალური კომუნიკაციის შესაძლებლობა“. მან ასევე აღნიშნა, რომ სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებულ პირებს უნდა მიეცეთ “შესაძლებლობა, დაესწრონ პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომას“, მაგრამ ეს დასწრება არ არის „ისეთივე მნიშვნელოვანი სააპელაციო ინსტანციაში“. საქმის განხილვის შემთხვევაში“.

მარჩელო იტალიის წინააღმდეგ (*Marcello v. Italy*), 5 ოქტომბერი, 2006 წ. (ფიზიკური დასწრება შეიძლება არ იქნეს მოთხოვნილი, მაგრამ არც ერთი მხარე არ უნდა იყოს ჩაყენებული არსებითად უპირატეს მდგომარეობაში). საქმეში მარჩელო იტალიის წინააღმდეგ განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მისი ვიდეოჩართვით მონაწილეობა არღვევდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „სამართლიანი სისხლის სამართლის პროცესის მიზნებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, რომ ბრალდებული გამოცხადდეს საკუთრი საქმის განხილვაზე“ და „ძნელია ნახო რეალიზაცია [პირადად საკუთარი თავის დაცვის, მოწმეთა გამოძახებისა და დაკითხვის, თარჯიმნის მომსახურებით სარგებლობის უფლებებისა] დასწრების გარეშე“. თუმცა „მსჯავრდებულის პირადად გამოცხადება ისეთივე გადამწყვეტი მნიშვნელობის არ არის სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას, როგორც ეს არის პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის შემთხვევაში“ და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის გამოყენების წესი სააპელაციო სასამართლოში დამოკიდებულია პროცედურების თავისებურებებსა და ასევე იმაზე, თუ როგორ არის წარმოდგენილი და დაცული დაცვის მხარის ინტერესები. ეს პროცედურები „რომლებიც, ფაქტობრივი საკითხების საპირისპიროდ, მხოლოდ სამართლის საკითხებს მოიცავს, შეიძლება შეესაბამებოდეს მე-6 მუხლის მოთხოვნებს, მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანს შესაძლებლობა არ მიეცა საშუალება, რომ ადგილზე ყოფილიყო მოსმენილი“. სასამართლომ დაასკვნა, რომ ბრალდებულის უფლებებზე შეიძლება დაწესდეს გარკვეული შეზღუდვები, თუ ამისთვის პატივსაღები მიზეზები არსებობს, იმის გათვალისწინებით, რომ

ეს შეზღუდვები, მთელი პროცესის მხედველობაში მიღებით, ბრალდებულს სამართლიანი განხილვის უფლებას არ ართმევს.

ევდოკიმოვი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (*Yevdokimov and Others v. Russia*), 16 თებერვალი, 2016 წ. (ფიზიკური დასწრება შეიძლება არ იქნეს მოთხოვნილი სანამ სასამართლო უზრუნველყოფს უფლებას, კონკრეტული საქმე წარდგენილ იქნეს ეფექტურად).

ევდოკიმოვის საქმეში მონაწილეობდნენ პირები, რომლებიც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევაზე ჩიოდნენ, რადგან სასამართლოში სამოქალაქო სამართალწარმოებაში, სადაც ისინი მხარეებს წარმოადგენდნენ, მათ პირადად მონაწილეობა ვერ შეძლეს. ისინი იმ დროს იყვნენ საპატიმროში და ადგილობრივმა ხელისუფლებამ სასამართლოში მათ მიყვანაზე უარი თქვა იმ მოტივით, რომ დაკავებულების სასამართლოში მიყვანის შესაბამისი კანონმდებლობა არ არსებობდა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მე-6 მუხლი „არ იძლევა სამოქალაქო სასამართლო სხდომაზე პირადად დასწრების უფლებაზე გარანტიას, არამედ განამტკიცებს უფრო ზოგად უფლებას, რომ პირმა საკუთარი საქმე სასამართლოს წინაშე ეფექტურად წარადგინოს და მოწინააღმდეგე მხარესთან მიმართებით თანაბარი შესაძლებლობების უფლებით ისარგებლოს“ მიანდობს რა სახელმწიფოს იმის განსაზღვრას, თუ როგორ იქნება ეს უფლებები გარანტირებული. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ასევე განაცხადა, რომ „საჯარო მოსმენა“ ნიშნავს „ზეპირი მოსმენის“ უფლებას, მაგრამ ეს არ არის აბსოლუტური უფლება და გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება შეიზღუდოს - მაგალითად, თუ ფაქტების ან სამართლის საკითხები შეიძლება გადაწყდეს წერილობითი მასალების საფუძველზე. თუ ზეპირი განხილვა ჩატარდა პირველ ინსტანციაში, სააპელაციო ინსტანციაში გასაჩივრებისას იგივე შეიძლება არ მოითხოვებოდეს. როდესაც პირი პატიმრობაშია, ზოგიერთ შემთხვევაში ის შეიძლება ადვოკატის მიერ იყოს წარმოდგენილი. ამ საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ „იმის გამო, რომ სასამართლომ თავი ვერ გაართვა მომჩივანთა მიერ წარდგენილი სამოქალაქო საჩივრების ბუნების სათანადოდ შეფასებას, რათა გადაეწყვიტა, იყო თუ არა მათი გამოცხადება აუცილებელი და, ნაცვლად ამისა, კონცენტრირება მოახდინა რა შიდა კანონმდებლობის ხარვეზებზე, და (ii) ასევე ვერ შეძლო რა შესაბამისი პროცედურული საშუალებების მოძიება, რომლებიც საშუალებას მისცემდა მომჩივნებს, მოსმენილნი ყოფილიყვნენ“, დაირღვა მე-6 მუხლი.

ვლადიმირ ვასილიევი რუსეთის წინააღმდეგ (*Vladimir Vasilyev v. Russia*), 10 იანვარი, 2012 წ. (სამართლებრივი წარმომადგენლობის მნიშვნელობა არსებითია საქმის სამართლიანი განხილვისთვის, თუმცა მოთხოვნები განსხვავებულია საქმეთა თავისებურებების მიხედვით).

ევდოკიმოვის საქმის მსგავსად, „ვლადიმირ ვასილიევი რუსეთის წინააღმდეგ“ საქმეშიც მონაწილეობდა პირი, რომელიც ამტკიცებდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევას იმ საფუძველზე, რომ სასამართლოში სამოქალაქო საქმის განხილვას, რომელშიც ის მხარე

იყო, პირადად ვერ დაესწრო. იმ დროს იგი პატიმრობაში იმყოფებოდა და სამართალწარმოებაში საკუთარი თავის წარმოდგენის, ან წარმომადგენლის ყოლის შესაძლებლობა არ მიეცა. სასამართლომ დაადგინა, რომ ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი დაირღვა, სადაც გაიმეორა, რომ მხარეთა თანასწორობის პრინციპები და შევიბრებიოთ სამართალწარმოება სამართლიანი სასამართლოს კონცეფციაში ძირითადი ელემენტებია. სასამართლოს წინაშე მხარეებს უნდა ჰქონდეთ „გონივრული შესაძლებლობა, მოსმენილ იყვნენ სათანადო ცოდნით სასამართლოს წინაშე წარდგენილი შუამდგომლობებისა და მტკიცებულებების შესახებ“. ამ საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ ვასილიევის პირადი ჩვენება პატიმრობაში მისი მოპყრობის პირობების აღწერის შესახებ შეუცვლელი იყო, პირველწყაროს წარმომადგენელმა, რომელიც მისი არგუმენტის ძირითად ნაწილს შეადგენდა. იმის გათვალისწინებით, რომ პროცესის დროს მას ჩვენების მიცემის შესაძლებლობა არ ჰქონდა, სასამართლომ მე-6 მუხლის დარღვევა დაადგინა.

იხილეთ <https://www.globalhealthrights.org/vladimir-vasilyev-v-russia/>

გორბუნოვი და გორბაჩოვი რუსეთის წინააღმდეგ (*Gorbunov and Gorbachev v. Russia*), 1 მარტი, 2016 წ. (პირს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, თვალყური ადევნოს პროცესს).

გორბუნოვისა და გორბაჩოვის საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლების წინააღმდეგ სამართალწარმოება იყო უსამართლო იმის გამო, რომ სააპელაციო ინსტანციაში განხილვის დროს მხარეთა ეფექტური სამართლებრივი დახმარების უზრუნველსაყოფად არაააკმარისი ღონისძიებები გატარდა. ხარვეზები არსებობდა ბრალდებულებისთვის მიწოდებული ვიდეო ბმულის ხარისხთან დაკავშირებით და, შესაბამისად, მათთვის პროცესისთვის თვალყურის მიდევნების შესაძლებლობასთან მიმართებით; მომჩივნებსა და მათ ადვოკატებს შორის კომუნიკაციასთან დაკავშირებით (განსხვავება ვიდეო ბმულით და პირისპირ ურთიერთობას შორის); ნდობისა და გაგების თვალსაზრისით ადვოკატსა და-კლიენტს შორის ურთიერთობის შეზღუდვებზე (კონფიდენციალურობასთან მიმართებით დროსთან და ორგანიზებასთან დაკავშირებული საკითხების გამო).

ტრეპაშკინი რუსეთის წინააღმდეგ (*Trepashkin v. Russia (no. 2)*, 16 დეკემბერი, 2010 წ. (უნდა არსებობდეს დამცველსა და ბრალდებულს შორის კონფიდენციალური ურთიერთობის შესაძლებლობა).

ტრეპაშკინის საქმეში სასამართლომ მე-6 მუხლის დარღვევა არ დაადგინა, მაგრამ მან ბრალდებულებსა და მათ ადვოკატებს შორის კონფიდენციალური ურთიერთობის მნიშვნელობას ხაზი გაუსვა. ბრალდებულს უნდა შეეძლოს ადვოკატებთან შეხვედრა მესამე პირების მიერ მოსმენის გარეშე, თავისუფლად გაცვალოს მოსაზრებები და დოკუმენტები ადვოკატებთან და ჰქონდეს წვდომა საქმის მასალებზე. კიდევ ერთი გასათვალისწინებელი ფაქტორია ბრალდებულის ტრანსპორტირებისა და სასამართლო შენობაში განთავსების პირობები, კერძოდ, გავლენას ახდენს თუ არა ის ბრალდებულის შესაძლებლობაზე, სათანადოდ მოემზადოს საქმის განხილვისთვის.

ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) თანახმად, ინფორმაციული ტექნოლოგია (IT) უნდა იყოს ინსტრუმენტი ან საშუალება მართლმსაჯულების განხორციელების გასაუმჯობესებლად, სასამართლო მომხმარებლის წვდომის გასაადვილებლად და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლში გათვალისწინებული გარანტიების გასაძლიერებლად.<sup>22</sup> ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს №14 მოსაზრებაში (სტრასბურგი, 2011 წლის 7-9 ნოემბერი),<sup>23</sup> მათ გასცეს რჩევა, რომ:

- „მოსამართლეებმა უნდა... აღმოფხვრან მართლმსაჯულების სათანადო განხორციელებისათვის დამუქრებული ნებისმიერი რისკი. ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა მხარეთა პროცედურული უფლებები არ უნდა შეამციროს. მოსამართლეებმა ასეთი რისკები უნდა გაითვალისწინონ, რადგან ისინი მხარეთა უფლებების დაცვაზე პასუხისმგებელნი არიან“ (მუხლი 7).
- „ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებამ არ უნდა შეამციროს მათი პროცედურული გარანტიები, ვისაც ტექნოლოგიებზე წვდომა არ აქვთ. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მხარეებს, რომლებსაც ასეთი წვდომა არ აქვთ, ამ სფეროში სპეციალური დახმარება გაენიოთ“ (მუხლი 10).
- „ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებამ პროცედურული გარანტიები არ უნდა შეამციროს (ან გავლენა მოახდინოს ტრიბუნალის შემადგენლობაზე) და პირს მისი მოხმარებისას მოსამართლის წინაშე საქმის შეჯიბრებითი განხილვის, მტკიცებულებების დედანში წარმოდგენის, მონშეების ან ექსპერტების მოსმენისა და ნებისმიერი მასალის ან შუამდგომლობის წარმოდგენის უფლება, რომელსაც იგი სასარგებლოდ მიიჩნევს, არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩამოერთვას. უფრო მეტიც, ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებამ საქმის სავალდებულო განხილვა და კანონით გათვალისწინებული სხვა არსებითი ფორმალობების შესრულება არ უნდა შეაფერხოს. თქვენ ასევე ყოველთვის უნდა გქონდეთ შესაძლებლობა, რომ მოსთხოვთ მხარეებს გამოჩენა, მოითხოვთ დოკუმენტების დედნის სახით წარდგენა და მონშეების მოსმენა. უსაფრთხოების მოთხოვნებმა ამ შესაძლებლობებს დაბრკოლება არ უნდა შეუქმნას“ (მუხლი 28).
- „ვიდეოსხდომამ შეიძლება ხელი შეუწყოს უსაფრთხოების გაუმჯობესებულ პირობებში საქმის განხილვას ან მონშეების ან ექსპერტების დისტანციურად დაკითხვას. თუმცა, მისი ნაკლი შეიძლება იყოს ის, რომ თქვენ ნაკლებად შეძლოთ მხარის, მონშის ან ექსპერტის სიტყვებისა და რეაქციის პირდაპირი ან ზუსტი აღქმა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ვიდეო სხდომებმა და მტკიცებულებების მიწოდებამ ასეთი საშუალებების გამოყენებით დაცვის გარანტიები არასოდეს შელახოს“ (მუხლი 30).

<sup>22</sup> ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო, CCJE-ს მოსაზრება No.14 მართლმსაჯულებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) შესახებ, მიღებულია CCJE-ს მე-12 პლენარულ სხდომაზე (სტრასბურგი, 2011 წლის 7-9 ნოემბერი), <https://rm.coe.int/168074816b>, პარაგრაფი 5.

<sup>23</sup> ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო, CCJE-ს მოსაზრება No.14 მართლმსაჯულებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) შესახებ, მიღებულია CCJE-ს მე-12 პლენარულ სხდომაზე (სტრასბურგი, 2011 წლის 7-9 ნოემბერი), <https://rm.coe.int/168074816b>

- „ინფორმაციული ტექნოლოგიების როლი პროცედურული საფეხურების ჩანაცვლებითა და გამართვებით უნდა შემოიფარგლოს, რამაც საქმის არსებითად განხილვისას ინდივიდუალიზებული გადანყვეტილების მიღებამდე უნდა მიგვიყვანოს. ინფორმაციული ტექნოლოგიები ვერ ჩანაცვლებს მოსამართლის როლს საქმეში ფაქტების შესახებ მტკიცებულებების მოსმენასა და შეფასებაში, გამოსაყენებელი კანონმდებლობის განსაზღვრაში და კანონით გათვალისწინებული შეზღუდვების გარდა ყველანაირი შეზღუდვის გარეშე გადანყვეტილების მიღებაში.“ (მუხლი 31).
- „მოსამართლეები ყველა იმ გადანყვეტილების მიღების პროცესში უნდა იყვნენ ჩართულნი, რომელიც სასამართლო სისტემაში ინფორმაციული ტექნოლოგიების შემუშავებასა და განვითარებას შეეხება;
- გასათვალისწინებელია იმ პირთა საჭიროებები, რომლებსაც ინფორმაციული ტექნოლოგიების საშუალებებით სარგებლობა არ შეუძლიათ;
- მოსამართლეებს მუდამ უნდა შეეძლოთ, რომ მხარეთა გამოცხადება, დოკუმენტების დედნის სახით წარმოდგენა და მონშების მოსმენა მოითხოვონ;
- მოსამართლის უფლებამოსილებაში ინფორმაციული ტექნოლოგიები არ უნდა ჩაერიოს და საფრთხე არ უნდა შეუქმნას კონვენციით გათვალისწინებული ფუნდამენტური პრინციპების დაცვას.<sup>24</sup>

თქვენ ყურადღებით უნდა იყოთ, რომ ბრალდებული და სხვა მონაწილეები სრულად იყენებენ იმ საშუალებებს, რომლებიც დაგარანშებენ, რომ მათთვის მინიჭებული ყველა გარანტია სრულად დაცულია. ზოგიერთმა კვლევამ აჩვენა, რომ ისინი, ვინც სასამართლოს წინაშე დისტანციურად გამოდიან, ნაკლებად სავარაუდოა, რომ იურიდიული წარმომადგენლობა მოითხოვონ, რადგან მათ შეიძლება ჩათვალოს, რომ პროცესი ნაკლებად ლეგიტიმური ან ნაკლებად სერიოზულია.<sup>25</sup>

<sup>24</sup> იქვე, სექცია F.

<sup>25</sup> Ingrid V. Eagly, დისტანციური განხილვა იმერაციაში, 109 Nw. U. L. Rev. 933 (2015), <https://scholarlycommons.law.northwestern.edu/nulr/vol109/iss4/2>; Fielding, N., Braun, S. and Hieke, G. (2020). მართლმსაჯულებაში ვიდვოს გამოყენების შეფასება. სასექსის პოლიციისა და დანაშაულის კომისიისა და სურვის უნივერსიტეტი, <https://www.sussex-pcc.gov.uk/media/4862/vej-final-report-ver-12.pdf>

## გ. შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი ბაზა

დისტანციური მართლმსაჯულებისთვის ეროვნული საკანონმდებლო ბაზა სასამართლოსა და პროცესის მონაწილეებისთვის აუცილებელ მითითებებს უზრუნველყოფს. როდესაც ეროვნულ კანონმდებლობაში დისტანციური სამართალწარმოების შესახებ სამართლებრივი რეგულირება არ არსებობს, მაშინაც შეიძლება დისტანციური სხდომების ჩატარება სხვა პროცედურული სტანდარტებისა და რეგულაციების გათვალისწინებით. როგორც მოსამართლემ, თქვენ უნდა:

- გამოიყენოთ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა იმის გადასაწყვეტად, სასამართლო განხილვა დისტანციურად ჩატაროთ თუ - მხარეთა დასწრებით. სასამართლომ არ უნდა გამართოს დისტანციური განხილვა, თუ ამას კანონმდებლობა კრძალავს.
- გაეცნოთ შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას ყურადღებით, რათა დარწმუნდეთ, რომ დისტანციური სასამართლო განხილვა კანონის რომელიმე დებულებას არ ეწინააღმდეგება.
- გაითვალისწინოთ სასამართლო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების (მაგ. იუსტიციის საბჭოები) ნებისმიერი სახელმძღვანელო ან სხვა გამოქვეყნებული მითითება, რომლებიც მცირე დროის უკან შემუშავდა და გამოქვეყნდა ბევრი მართლმსაჯულების სისტემის ფარგლებში, სადაც მითითებულია, თუ როგორ უნდა ჩატაროთ დისტანციური სხდომები და სამართალწარმოება.
- გაეცნოთ ინსტრუმენტებს, რომლებიც შესაძლოა შეიმუშავეს ადგილობრივმა იურისტებმა და ადვოკატთა ასოციაციებმა. მაგალითად, ევროპის ადვოკატთა და იურიდიული საზოგადოებების საბჭომ (CCBE) იურისტების მიერ დისტანციური მუშაობის ინსტრუმენტების გამოყენებისა და დისტანციური სასამართლო პროცესების შესახებ სახელმძღვანელო შეიმუშავა.<sup>26</sup>

<sup>26</sup> CCBE, სახელმძღვანელო იურისტების მიერ დისტანციური მუშაობის ინსტრუმენტების გამოყენებისა და დისტანციური სასამართლო პროცესის შესახებ, 27 ნოემბერი 2020, [https://www.ccbe.eu/fileadmin/speciality\\_distribution/public/documents/SURVEILLANCE/SVL\\_Position\\_papers/EN\\_SVL\\_20201127\\_CCBE-Guidance-on-the-use-of-remote-working-tools-by-lawyers-and-remote-court-proceedings.pdf](https://www.ccbe.eu/fileadmin/speciality_distribution/public/documents/SURVEILLANCE/SVL_Position_papers/EN_SVL_20201127_CCBE-Guidance-on-the-use-of-remote-working-tools-by-lawyers-and-remote-court-proceedings.pdf)





### თავი 3: დისტანციური სამართალწარმოებისთვის საქმის შესაბამისობის განსაზღვრა

#### საკონტროლო სია



გასათვალისწინებელია ზოგადი ფაქტორები, როგორცაა:

- ✓ მტკიცებულებათა კომპლექსურობა
- ✓ არსებობს თუ არა მხარეთა თანხმობა
- ✓ არის თუ არა პირი პატიმრობაში
- ✓ ვადების შეზღუდვები
- ✓ ჰყავს თუ არა ბრალდებულს იურიდიული წარმომადგენელი
- ✓ სხდომის ხანგრძლივობა
- ✓ დოკუმენტების ავთენტიფიკაცია
- ✓ საჯაროა თუ არა სხდომა
- ✓ მონაწილეთა თავისებურებები
- ✓ ხარჯები
- ✓ მონყვლადობა

მტკიცებულების საკითხები:

- ✓ როგორ ვმართოთ მტკიცებულებები
- ✓ აქვთ თუ არა მხარეებს წვდომა მტკიცებულებების დასკანირებულ ვერსიებზე
- ✓ აქვს თუ არა სასამართლოს ტექნოლოგიურ პლატფორმას მტკიცებულებების ატვირთვის შესაძლებლობა
- ✓ მიმწვერისთვის სასამართლოს ოფიციალური ელექტრონული ფოსტის გამოყენება

სპეციალური ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ საქმეებზე, რომლებიც ნამოჭრინ განსაკუთრებულ გამოწვევებს:

- ✓ ბავშვები და არასრულწლოვნები
- ✓ შებლდული შესაძლებლობის მქონე მხარეები
- ✓ სექსუალური ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საქმეები
- ✓ თარგმანის ან სხვა სპეციალური მხარდაჭერის აუცილებლობა
- ✓ საქმეები, სადაც ფიზიკური მტკიცებულებების გამოკვლევა გადამწყვეტია

ტექნიკური შეზღუდვები:

- ✓ მოიძიეთ ინფორმაცია მონაწილეთა ტექნიკური შესაძლებლობების შესახებ
- ✓ აქვთ თუ არა მონაწილეებს წვდომა აუცილებელ ტექნოლოგიებზე და თუ არა, შეიძლება თუ არა ალტერნატივის პოვნა
- ✓ შესაძლებელი იქნება თუ არა კონფიდენციალური კომუნიკაცია
- ✓ სასამართლოს ინტერნეტ კავშირის სათანადოობა
- ✓ კამერისა და მიკროფონის არსებობა
- ✓ მხედველობაში იქონიეთ, რომ სხდომა ჩატარდეს სეკმენტებად, რათა თავიდან აიცილოთ ეკრანთან ხანგრძლივი დროის გატარება

ეს თქვენ, მოსამართლემ, უნდა განსაზღვროთ, არის თუ არა კონკრეტული პროცედურა დისტანციურად ჩატარებისთვის შესაფერისი.

## ა. ზოგადი საკითხები

არსებობს მრავალი ფაქტორი, რომელიც შეიძლება დაგეხმაროთ:

- უდავო საქმეები, საპროცესო შეთანხმების საქმეები და წინასასამართლო სხდომები შეიძლება უფრო შესაფერისი იყოს დისტანციური განხილვისთვის, ვიდრე სასამართლოში პირველი წარდგენის შემთხვევები, განსაკუთრებით სისხლის სამართლის საქმეებში;
- არსებობს თუ არა მხარეთა თანხმობა;
- იმყოფება თუ არა პირი პატიმრობაში;
  - შეუძლია თუ არა საპატიმრო დაწესებულებას უზრუნველყოს სათანადო ინტერნეტ კავშირი?
  - საქმის დისტანციური განხილვა დააჩქარებს საქმეს?
- არსებობს თუ არა საქმის განხილვის დროში შეზღუდვები (მაგ., საკითხის სწრაფად გადაწყვეტის საჭიროება და სხდომის გონივრულ ვადაში გამართვის აუცილებლობა);
- მონაწილეთა რაოდენობა, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს სხდომის ხანგრძლივობაზე და დამატებითი ტექნიკური გამოწვევები წარმოშვას;
- ჰყავთ თუ არა მხარეებს იურიდიული წარმომადგენლები;
- სხდომის ხანგრძლივობა (მაგ., თუ ეს არის წინასწარი მოსმენა, რომელიც გრძელდება საათზე ნაკლები ხანი);
  - გაკოტრების ან წინასაგაკოტრებო საქმის წარმოებისას შეიძლება დაგჭირდეთ კრედიტორების ჯგუფებად დაყოფა და დისტანციური სხდომის ჩატარება თითოეული ჯგუფისთვის, როდესაც ეს შესაძლებელია. ეს საშუალებას მოგცემთ მთელ სხდომაზე მეთი კონტროლი მოიპოვოთ და თავიდან აიცილოთ შემთხვევები, როდესაც ეკრანზე ერთდროულად კრედიტორების დიდი რაოდენობაა.
- შესაძლებელია თუ არა დოკუმენტების ავთენტიფიკაცია და იდენტიფიკაცია, მაგ., ელექტრონული ხელმოწერის საშუალებით;
- როდესაც მტკიცებულება უდავოა ან არ არის კომპლექსური, ის შეიძლება უფრო შესაფერისი იყოს დისტანციური საქმისწარმოებისთვის. მაგალითად:
  - ნაკლებად რთული სამოქალაქო საქმეები, როგორცაა მცირე ღირებულების სარჩელების განხილვა;

- უდავო წარმოების საქმეები;
- კომერციული საქმეები გადახდის მოთხოვნით, სადაც საქმის ფაქტები ნათელია და დამატებითი მტკიცებულებების მიღება საჭირო არ არის, მხოლოდ წერილობითი დოკუმენტებია საკმარისი.
- როგორ იქნება ხელშეწყობილი საზოგადოების წევრების დასწრება;
- არსებობს თუ არა მონაწილეთა განსაკუთრებული გარემოებები, რომლებიც ხელს უწყობენ ან მოითხოვენ სხდომის დისტანციურად ჩატარებას? (მაგ., ისინი სხვა ქვეყანაში იმყოფებიან, მოგზაურობის ღირებულება, ჯანმრთელობის საკითხები, ბავშვის მოვლა, ფიზიკური უსაფრთხოება და დაცულობა ან სხვა მიზეზები, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ არ შეუძლიათ სასამართლოში მოსვლა);
- არსებობს თუ არა მონაწილეთა მონყვლადობა და შეზღუდული შესაძლებლობები და შეზღუდავს თუ არა ეს მათ შესაძლებლობას, სრულად მიიღონ მონაწილეობა პირადად ან ონლაინ.

## ბ. მტკიცებულებებთან დაკავშირებული საკითხები

მტკიცებულების ბუნება ასევე შეიძლება იყოს საქმის შესაფერისობის განსაზღვრის ფაქტორი:

- როდესაც საქმის დისტანციურად განხილვას გადაწყვეტთ, გაითვალისწინეთ, რომ დისტანციურად მტკიცებულებების, შუამდგომლობებისა და გადაწყვეტილებების მიღების, გაგზავნის და განხილვის გზების მართვა მოგიწევთ.
- საკმარისი იქნება თუ არა მხარეებს ჰქონდეთ მტკიცებულებათა ციფრული ვერსიები და ისინი ყველა მონაწილესთან ეკრანის გაზიარებით გამოიკვლიონ (მაგალითად, როდესაც მტკიცებულება მხოლოდ წერილობითია და დედნები სასამართლოშია გადაგზავნილი).
- შეამოწმეთ, აქვს თუ არა თქვენი სასამართლოს მიერ გამოყენებულ ტექნოლოგიურ პლატფორმას მხარეების მიერ მტკიცებულებების ატვირთვის შესაძლებლობა და შეუძლიათ თუ არა მხარეებს დისტანციურად დაათვალიერონ საკუთარი და ერთმანეთის ფაილები.
- თუ სხვა ვარიანტები არ არის, სასამართლოს ოფიციალური ელექტრონული ფოსტა გამოიყენეთ მხარეებთან დოკუმენტების გაცვლისთვის.

## გ. სპეციალური საკითხები

საქმის დისტანციური განხილვისათვის განსაკუთრებული სირთულეები შემდეგი სახის საქმეებმა შეიძლება გამოიწვიოს:

- საქმეები ბავშვების და არასრულწლოვნების მონაწილეობით;
- სპეციფიკური სისხლის სამართლის საქმეები;
- მხარეთა შებღუდული შესაძლებლობები;
- სექსუალური და ოჯახში ძალადობის საქმეები;
- საქმეები, სადაც საჭიროა თარჯიმნის ან სხვა სახის სპეციალური მხარდაჭერა და დახმარება;
- საქმეები, სადაც მოსამართლისა და ექსპერტების მიერ ფიზიკური მტკიცებულებების გამოკვლევა გადამწყვეტია.

## დ. ტექნიკური შეზღუდვები

დისტანციური განხილვისთვის საქმეების შესაფერისობის საკითხის გადანყვეტიას უნდა გაითვალისწინოთ სასამართლოს, მხარეთა, ადვოკატთა და სხვა მონაწილეთა ტექნოლოგიური შესაძლებლობები. სხდომის დაწყებამდე აუცილებელია შემდეგი ინფორმაციის მოპოვება:

- რა ტექნიკური შესაძლებლობები აქვთ მხარეებს?
- აქვთ თუ არა მონაწილეებს მათი სრულყოფილი მონაწილეობისთვის აუცილებელ ტექნოლოგიაზე წვდომა (მაგ., მონაცემთა შესაბამისი გამტარუნარიანობა, აუდიო და ვიზუალური აღჭურვილობა და ა.შ.)?
- თუ მონაწილეებს საჭირო ტექნოლოგია არ გააჩნიათ, მოიძებნება თუ არა ალტერნატივა, როგორცაა ადვოკატების, ნოტარიუსების ან სხვა საჯარო მოხელეების ოფისების გამოყენება?
- შეძლებენ თუ არა მონაწილეები კონფიდენციალურად დაუკავშირდნენ თავიანთ იურიდიულ წარმომადგენლებს დისტანციური საქმის განხილვის მიმდინარეობისას?
- როგორია სასამართლოში ინტერნეტ ინფრასტრუქტურა და შესაბამება თუ არა ის იმ პლატფორმას, რომლის გამოყენებაც გსურთ (შეამოწმეთ ეს თქვენი სასამართლოს ინფორმაციული ტექნოლოგიების მრჩეველთან)?
- აქვს თუ არა სასამართლო სხდომის დარბაზს, რომლის გამოყენებასაც დისტანციური სხდომისთვის აპირებთ, სათანადო კამერა და მიკროფონი, რომელიც საშუალებას მოგცემთ მოგისმინონ და დაგინახონ მონაწილეებმა მუდმივი შეფერხებების გარეშე?
- შეიძლება თუ არა სხდომა დაიყოს გონივრულ დროით მონაკვეთებად ეკრანთან გატარებული დროის შესამცირებლად?





## თავი 4: ტექნოლოგიები და საქმეების მართვა

### საკონტროლო სია



როდესაც განიხილავთ სხვადასხვა ინფორმაციული ტექნოლოგიის პლატფორმების გამოყენების საკითხს, გაარკვიეთ შემდეგი საკითხები:

- ✓ გამოყენების სიმარტივე და საიმედოობა
- ✓ სასამართლოს გამოსახულება ეკრანზე
- ✓ პლატფორმის(ების) დაცულობა და უსაფრთხოება
- ✓ ინსტრუმენტები, რომლებიც აკონტროლებენ პროცესებს, მათ შორის მონაწილეთათვის ხმის ჩართვას და გამორთვას
- ✓ თანაბარი შესაძლებლობები ყველა მხარისთვის, მათ შორის, მიმონერის ფუნქციის გამოყენება
- ✓ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ხელმისაწვდომობა
- ✓ კერძო ადვოკატისა და კლიენტის კომუნიკაციის ხელშეწყობის უნარი
- ✓ რეალურიდან ვირტუალურ სასამართლო დარბაზში გადართვის შესაძლებლობა
- ✓ იძლევა თუ არა საქმისწარმოების მიმდინარეობის ჩანერის შესაძლებლობას
- ✓ შესაძლებელია თუ არა ჩანაწერების განხორციელების შეჩერება
- ✓ სად ინახება ჩანაწერები
- ✓ სერვერის აუცილებელი მოცულობა
- ✓ როგორ ხდება მონაწილეების მონვევა
- ✓ ინფორმაციული ტექნოლოგიების პლატფორმის გამოყენებით სხდომების განრიგის დაგეგმვის შესაძლებლობა
- ✓ შეუძლია თუ არა პლატფორმას ხმის ტექსტად გარდასახვის მომსახურების მხარდაჭერა

- ✓ შეუძლია თუ არა პლატფორმას თარგმანისა და განმარტების მომსახურების განთავსება
- ✓ შესაბამისი პროცედურების პირდაპირი ტრანსლაციის ან ვებ გვერდის არხზე განთავსების შესაძლებლობა

## ა. სხვადასხვა ტექნოლოგიური პლატფორმა

ამჟამად ხელმისაწვდომი პროგრამული პლატფორმების ფართო სპექტრი არსებობს, რომლებიც სასამართლოების მიერ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის მასშტაბით გამოიყენება. ესენია: ცისკოს ვებექსი (Cisco's Webex), ზუმი (Zoom), ჯითსი (JITSI), გუგლ მითი (Google Meet), მაიქროსოფტ თიმსი (Microsoft Teams), სკაიპი (Skype), პოლიკომ რიალ პრეზენსი (Polycom Real Presence), ბლუჯინსი (BlueJeans), პექსიპი (PEXIP) და თრუქონფი (TrueConf), ასევე კონკრეტული სასამართლოებისთვის შეკვეთილი პლატფორმები. დისტანციური წარმოების პლატფორმის შერჩევასა და მოსამართლეებმა უნდა განიხილონ, თუ ისინი რამდენად

- არის მარტივი გამოყენებისთვის;
- არის სანდო;
- შეუძლიათ კომპიუტერის ეკრანზე მოსამართლის, სასამართლო სხდომის დარბაზის და მონაწილეების გამოსახულების სათანადოდ ასახვა;
- მიიჩნევა საკმარისად დაცულად უსაფრთხოების თვალსაზრისით;
- უზრუნველყოფს კონკრეტული ინსტრუმენტებით, რათა მოსამართლემ გააკონტროლოს პროცედურა და თავიდან აიცილოს მონაწილეთა მხრიდან შესაძლებლობების ბოროტად გამოყენება;
- აძლევს თითოეულ მხარეს თანაბარ შესაძლებლობებს მონაწილეობის მისაღებად;
- გაძლევს საშუალებას თქვენ და მხარეებს გქონდეთ კონტროლის შესაძლებლობა მონმის დაკითხვისას.

პლატფორმების შედარებისას ასევე შეიძლება სასარგებლო იყოს შემდეგი საკითხების გათვალისწინება:

- აღჭურავთ თუ არა პროცესის მართვის მსგავსი, ან მეტი საშუალებებით, ვიდრე არაღისტანციურად საქმის განხილვა.
- რა არის სერვერის საჭირო მოცულობა ეფექტური ფუნქციონირებისთვის. რა ფუნქციები აქვს პროგრამას სხდომების ჩანერისთვის.
- ყოველი შეჩერების შემდეგ იქმნება თუ არა დამოუკიდებელი ფაილი, მაგალითად, პროგრამა ჩანერის შეჩერებისა და გაგრძელების შესაძლებლობას თუ იძლევა.
- სად ინახება ჩანაწერები (ადგილობრივ კომპიუტერში თუ ე.წ. „ღრუბულზე“).
- როგორ ხდება მონაწილეების მონვევა (მაგ., ელექტრონული ფოსტით).

- არსებობს თუ არა ცალკეული მონაწილეებისთვის ხმის გამორთვისა და ჩართვის შესაძლებლობა.
- არსებობს თუ არა მიმოწერის ფუნქცია.
- დროის მონაკვეთები, თუ რამდენ ხანში შეიძლება დაინიშნოს სხდომა (მაგ. სხდომის დასაწყისიდან სხდომის თარიღამდე განსაზღვრული მინიმალური/ მაქსიმალური დრო).
- რამდენად ხელმისაწვდომია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის (მაგ., მხედველობა დაქვეითებული, სმენადაქვეითებული, გონებრივად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და ა.შ.) ან სხვა მონაცვლადი პირებისთვის.
- როგორ არის უზრუნველყოფილი ტრანსკრიფციის, თარგმანისა და თარჯიმნის მომსახურებები.
- შეუძლია თუ არა პლატფორმას უზრუნველყოს საჯარო პროცედურების პირდაპირი ტრანსლაცია ან ვებ არხი და აქვს თუ არა მას მედიისთვის მისი გადაცემისათვის საჭირო საშუალებები.

## ბ. საქმის მართვა

ციფრული საქმის წარმოება, სადაც ეს შესაძლებელია, ფაილების აღრიცხვის, მტკიცებულებების შენახვისა და მონაწილეებსა და სასამართლოს შორის საჭირო წერილობითი მონაცემების გაცვლისთვის ეფექტური საშუალებაა. ზოგიერთი სისტემა შესაძლებლობას აძლევს მონაწილეებს არა მხოლოდ დისტანციურად დაუკავშირდნენ, არამედ უზრუნველყონ უსაფრთხოების მაღალი დონე და დოკუმენტების ავთენტიფიკაცია, საქმის განაწილება, ასევე სხდომების დანიშვნა.

ზოგიერთ იურისდიქციაში ფაილები შეიძლება ინახებოდეს როგორც ქაღალდის, ისე ელექტრონულ ვერსიებად; სხვებში - ფორმალური ფაილი შეიძლება ინახებოდეს მხოლოდ ქაღალდის სახით. თქვენ უნდა იყოთ საქმის კურსში, რომ თუ ელექტრონული მტკიცებულება გადაიტანება ქაღალდზე, ზოგიერთი მონაცემი შეიძლება დაიკარგოს. კერძოდ, „მეტამონაცემები“ (metadata), რომელსაც ელექტრონული ფაილები შეიცავს, წარმოადგენს ელექტრონულ ინფორმაციას სხვა ელექტრონული მონაცემების შესახებ, რაც შეიძლება დაიკარგოს, თუ ფაილები ქაღალდის ფორმატში გადაიტანება. მაგალითად, ელექტრონული მონაცემები ასევე შეიცავს ისეთ ინფორმაციას, როგორცაა ინფორმაცია ავტორის და მისი შექმნის თარიღის ან რაიმე შესწორების შეტანის შესახებ. თუ სასამართლოს მიეწოდება მხოლოდ ელექტრონული მონაცემების ამონაბეჭდი (მაგ., ელექტრონული ფოსტა), მაშინ ამ მეტამონაცემების ნაწილი დაიკარგება.

## გ. ჰიბრიდული სხდომები

ბევრი სასამართლოსთვის ერთ-ერთ ვარიანტად „ჰიბრიდული“ სხდომის დანიშვნაა ხელმისაწვდომი, სადაც მონაწილეთა ნაწილი სასამართლო დარბაზში იმყოფება, ზოგი კი დისტანციურად უერთდება სხდომას. გასათვალისწინებელია სხვადასხვა ფაქტორები:

- თქვენ უნდა უზრუნველყოთ, რომ მხარეთა მიერ ფიზიკური და დისტანციური მონაწილეობის უპირატესობები და უარყოფითი მხარეები სათანადოდ ახსნილი და გაგებული იქნება და გადანყვეტილება მიიღება სრულად ინფორმირებული თანხმობით, რათა დაცული იყოს მხარეთა თანასწორობის პრინციპი.
- გაითვალისწინეთ, რომ ჰიბრიდული მოსმენები წარმოშობს ახალ პოტენციურ ტექნიკურ პრობლემებს, განსაკუთრებით მიკროფონებთან და კამერის განთავსებასთან დაკავშირებით. წინასწარ, თუ ეს შესაძლებელია, განიხილეთ დაგეგმილი ჰიბრიდული მოსმენის თავისებურებები თქვენი ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის პერსონალთან.
- ყველა მონაწილეს, მიუხედავად იმისა, ფიზიკურად ესწრება თუ დისტანციურად მონაწილეობს, უნდა შეეძლოს სრულად და თანაბრად მიიღოს მონაწილეობა წარმოებაში. ამის მართვა შესაძლებელია სასამართლოს მიერ, რომელიც მუდმივად უნდა ამონმებდეს კავშირს - მონაწილეთა უნარს მოისმინონ, ისაუბრონ და დაინახონ ყველაფერი.
- თუ დისტანციური მონაწილე მონმეა, თქვენ უნდა გაითვალისწინოთ მონმის ავთენტურობა, სანდოობა და სარწმუნოობა ისევე, როგორც სხვა პირების გავლენის არარსებობა.

## თავი 5: პრაქტიკული რჩევები დისტანციური სხდომების მართვისთვის

### საკონტროლო სია



- ✓ მომზადება არის წარმატებული დისტანციური სხდომების გასაღები.
- ✓ სავალდებულო წინასწარი სასწავლო კურსები შესაბამისი ინფორმაციული ტექნოლოგიების პლატფორმის გამოყენების შესახებ.
- ✓ სასამართლო დარბაზის მოწყობა და ავტორიტეტი დაცული უნდა იყოს ონლაინ გარემოში ფორმალური ენის, ჩაცმულობისა და ადაპტირებული რიტუალების გამოყენებისა და წესრიგის დამრღვევი მონაწილეების მართვის გზით.
- ✓ სასამართლომ უნდა უზრუნველყოს ყველა მონაწილისთვის უსაფრთხო და დაცული გარემო.
- ✓ უზრუნველყოფილი უნდა იყოს საზოგადოების წევრებისთვის წვდომა, სადაც ამას კანონი მოითხოვს.

კითხვები, რომლებიც უნდა დაისვას დისტანციური სხდომის მომზადებისას:

- ✓ შესაფერისია თუ არა დისტანციური განხილვა კონკრეტული საქმისთვის, სამართლებრივი ბაზისა და საქმის საგნის გათვალისწინებით?
- ✓ მიღებულია თუ არა მხარეთა თანხმობა?
- ✓ გათვალისწინებულ იქნა თუ არა მოწყვლად და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მონაწილეთა საჭიროებები?
- ✓ დისტანციური წარმოების რომელი ტიპია უფრო შესაფერისი - „ჰიბრიდული“ თუ დისტანციური?
- ✓ რა სახის მოსამზადებელი სამუშაოები შეიძლება განხორციელდეს სხდომამდე?

კითხვები დისტანციური სხდომის დროს:

- ✓ რა ვარიანტები გაქვთ დისტანციური მონაწილეების ვინაობის შესამოწმებლად?

- ✓ როდის და როგორ განმარტავთ სხდომის წესებსა და მიმდინარეობას და ტექნიკურ საკითხებს?
- ✓ როგორ უზრუნველყოფთ, რომ მონაწილეები სხდომაზე სათანადოდ მოიქცნენ?
- ✓ როგორ ახსნით და გამოიყენებთ წესებს წესრიგის დამრღვევი მონაწილეებისთვის?
- ✓ როგორ შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს კერძო ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობა?
- ✓ როგორ შეიძლება თავიდან იქნას აცილებული დისტანციურ მოწმეებზე არასათანადო ზემოქმედება?
- ✓ როგორ ჩააბარებთ მხარეებს გადაწყვეტილებას?
- ✓ როგორ უზრუნველყოფთ, რომ სხდომა საკარო იყოს?



## ა. მზადება დისტანციური სხდომისთვის

### 1. პირველადი საკითხები

იმისათვის, რომ სხდომა სათანადოდ წარიმართოს, თქვენ (და სასამართლოს თანამშრომლები) წინასწარ უნდა მოემზადოთ.

- დისტანციური ტექნოლოგიის გამოყენების შესახებ პროცესის მონაწილეთა ცოდნისა და გამოცდილების დადგენამ შესაძლოა თავიდან აგაცილოთ პრობლემები სხდომის მიმდინარეობისას. ზოგიერთ მონაწილეს შეიძლება არ ჰქონდეს ცოდნა პროგრამული უზრუნველყოფის ან სხვა ტექნიკური საკითხების შესახებ, რომლებიც გამოიყენება საქმის დისტანციური განხილვისას და არ ესმოდეთ, როგორ მიიღონ მონაწილეობა. სხდომის დაწყებამდე ინფორმაციის (და საჭიროების შემთხვევაში სასწავლო კურსის) მიწოდებამ შეიძლება თავიდან აგაცილოთ პრობლემები თავად სხდომის გამართვის დღეს.
- მკაცრად რეკომენდირებულია, რომ მონაწილეები, შეძლებისდაგვარად, დისტანციურ მოსმენებს სტაბილური ინტერნეტ კავშირის გამოყენებით სადენის (LAN/Ethernet) მეშვეობით შეუერთდნენ უსადენო (WiFi) კავშირების ნაცვლად. სასამართლომ ამის შესახებ მონაწილეებს სხდომის დაწყებამდე უნდა აცნობოს.
- სხდომის დაწყებამდე ტექნიკა და პროგრამული უზრუნველყოფის პლატფორმების შეამოწმეთ; გაეცანით არჩეული პლატფორმის გამოყენების წესებს და დარწმუნდით, რომ სხვებიც იცნობენ.
- სასამართლომ უნდა უზრუნველყოს საკმარისი დრო დისტანციური განხილვისთვის.
- კარგად უნდა იცოდეთ დისტანციური განხილვისთვის საჭირო ტექნოლოგიებისა და აღჭურვილობის გამოყენება, თუმცა ტექნიკური სირთულეები იქნება და და მათ ელოდეთ. თუ ეს შესაძლებელია, თქვენ ტექნიკური დამხმარე უნდა გყავდეთ, რომელიც სხდომის განმავლობაში ტექნიკური პრობლემების მოგვარებაში დაგეხმარებათ.
- სხდომის დაწყებამდე უნდა შემოწმდეს და გაიტესტოს ყველა ტექნიკური მოთხოვნა, მათ შორის განხორციელდეს სატესტო ზარები, რათა ყველასთვის კარგი კავშირი იყოს უზრუნველყოფილი.
- თქვენ ასევე უნდა მოემზადოთ ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად, იმის გათვალისწინებით, თუ რა გავლენას ახდენს ეკრანზე ყურადღების ხანგრძლივი კონცენტრაცია თქვენს ჯანმრთელობაზე.

## 2. წინასწარ ინსტრუქციის გაცემა

სხდომამდე მონაწილეებს უნდა მიენდოთ მითითებები სხდომის მიმდინარეობისას სასურველი ქცევის, ვალდებულებებისა და პროცედურების შესახებ. ეს ინსტრუქცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს სასამართლოს ვებგვერდზე ვიდრე ინსტრუქციებთან ერთად.

- სთხოვეთ თანაშემწეს ან მდივანს, შეაგროვოს მონაწილეთა ელ. ფოსტა, რათა შემდეგ გაუგზავნოს მათ სხდომაზე მონვენვა. თუ მონაწილეს არ აქვს ელ. ფოსტა, შეიძლება სთხოვონ მისი შექმნა.
- ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ დისტანციურ სასამართლო სხდომებზე მოქმედებდეს იგივე წესები, რაც შენობაში სასამართლო სხდომებზე მოქმედებს და იმას, თუ როგორ გავრცელდება ის დისტანციურ სასამართლო სხდომებზე.
- სხდომისთვის მომზადებისას სასამართლომ წინასწარ (ელ. ფოსტით ან სხვა სამართლებრივი სერვისით) უნდა გაუგზავნოს მხარეებს მითითებები, ქცევის წესები და შესაბამისი გაფრთხილება. დისტანციური სხდომის ელექტრონული ბმული ასევე შეიძლება ამ ეტაპზე გაიგზავნოს.
- თუ სასამართლო არადისტანციურად საქმის განხილვისას სხდომის თარიღის შესახებ მხარეებს უგზავნის უწყებას ან სხვა განკარგულებას, საქმის დისტანციურად განხილვის შემთვევასაც სასამართლომ მონაწილეებს უნდა გაუგზავნოს იგივე ინფორმაციის შემცველი ელექტრონული განკარგულება ან უწყება. მნიშვნელოვანია ასეთი განკარგულების ან უწყების შედგენა ისე, რომ ცხადი იყოს, რომ სხდომა იქნება დისტანციური.
- იდეალურ შემთხვევაში, სასამართლოს პერსონალმა და არა თქვენ, როგორც მოსამართლემ, უნდა უზრუნველყოს ნებისმიერი დისტანციური სხდომის სათანადო მომზადება. ეს უნდა მოიცავდეს სასამართლოს პერსონალის მიერ:
  - შემოწმებას, აქვთ თუ არა მონაწილეებს საჭირო ტექნიკური შესაძლებლობები სხდომაში მონაწილეობის მისაღებად.
  - მონაწილეთათვის ინფორმაციის გაგზავნას, თუ როგორ გამოიყენონ პლატფორმა და ნებისმიერი საკონტაქტო ინფორმაციის გაგზავნას, თუ არსებობს ტექნიკური კითხვები ან სხვა პრობლემები დისტანციურ სხდომაზე წვდომასთან დაკავშირებით.
  - ფორმების წინასწარ გაგზავნას ელექტრონული ფოსტით (მაგ. ფიცის ფორმა) და პროგრამაში შესვლის დეტალები.
  - მოსმენის დაწყებამდე მონაწილეებთან კავშირების ტესტირების შეთავაზებას სხდომის დღეს სატესტო ზარის ჩათვლით.
  - ყველა მონაწილისთვის სხდომის დაწყებამდე მცირე ხნით ადრე დარეკვის/პროგრამაში შესვლის მოთხოვნას.

- დარწმუნდით, რომ პროგრამის ბმული არის სწორი და ფუნქციონირებადი.
- მოსამართლე და მონაწილეები უნდა იყვნენ სათანადოდ ჩაცმული, ამ სასამართლოს მიერ დადგენილი ჩაცმულობის წესების შესაბამისად. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნათელი იყოს სხდომის დაწყებამდე, იმის გათვალისწინებით, რომ ზოგიერთი მონაწილე შეიძლება სხდომას საკუთარი სახლიდან უერთდებოდეს. თუ ვინმე სათანადოდ არ არის ჩაცმული, თქვენ უნდა ჩაერიოთ და მოსთხოვოთ ჩაცმულობის შეცვლა. სასამართლომ მონაწილეებს წინასწარ უნდა აცნობოს წესები.
- გონივრული იქნება მონაწილეთაგან თანხმობის მოთხოვნა დისტანციურ სხდომაში მონაწილეობისთვის, მაშინაც კი, თუ ეს კანონით არ არის სავალდებულო.
- დისტანციური სხდომის დაწყებისას თქვენ უნდა დარწმუნდეთ, რომ მითითებები ყველა მონაწილემ მიიღო და გაიგო და რომ მათ თავიანთი ვალდებულებები, შეზღუდვები და ქცევის წესები იციან. თქვენ უნდა მიმოიხილოთ წესები სხდომის დაწყებისას, ნათლად და დეტალურად ახსნათ სხდომის მიმდინარეობა და ხელშეშლის შედეგები.
- გაითვალისწინეთ, თუ როგორ უნდა მოგვარდეს შემდეგი გაუთვალისწინებელი შემთხვევები სხდომის დაწყებამდე:
  - როგორ იქნება გაფრთხილებები მიცემული.
  - „ხმის გამორთვის“ ფუნქციის გამოყენება წესრიგის დარღვევის ან შემაფერხებელი, ხელისშემშლელი ან შეუსაბამო ქცევის შესაჩერებლად (მაგ., „ყველასთვის ხმის გამორთვის“ ფუნქციის გამოყენებამ შეიძლება თავიდან აგაცილოთ ისეთი პოტენციური გამონკვევები, როგორიცაა მხარის მიერ უსამართლოდ გარიყულად თავის გრძნობა).
  - წინასწარ განსაზღვრეთ რა ვითარებაში შეიძლება გახდეს საჭირო მხარის სხდომიდან გაძევება და როგორ მიიღწევა ეს კონკრეტული პლატფორმის მეშვეობით.
  - როგორ გამოაცხადოთ შესვენება ან გადადოთ სხდომები.
  - როგორ შექმნათ და შეინახოთ სხდომის ოქმის ჩანაწერი ან ტრანსკრიფცია.
  - როგორ დაამატოთ შენიშვნა სხდომის ოქმის ჩანაწერში ან ტრანსკრიფტში მნიშვნელოვანი გარემოებების აღსანიშნავად.
  - დარწმუნდით, რომ მონაწილეები იცნობენ ყველა შესაბამის წესს.

- თქვენ უნდა იცოდეთ მონაწილეებთან დაკავშირებული გარემოებები და მათი ფიზიკური მდებარეობა, მათ შორის, ერთვებიან თუ არა ისინი ქვეყნის ფარგლებს გარედან. იმ შემთხვევებში, როდესაც მხარეები მონაწილეობენ სხვა იურისდიქციის გავრცელების არეალიდან, სასამართლომ წინასწარ უნდა გაარკვიოს, დასაშვებია თუ არა საქმის დისტანციური განხილვისთვის გამოყენებული პროგრამული უზრუნველყოფის და პროცედურების გამოყენება იმ იურისდიქციის ტერიტორიაზე.
- ოჯახური ძალადობის ან სექსუალური ძალადობის შემთხვევები საჭიროებს განსაკუთრებულ ფაქტო მიდგომას. თუ სხდომა არის დახურული (მაგ., ოჯახური საქმეები, ოჯახში ძალადობის შემთხვევები ან სექსუალური ძალადობის შემთხვევები), მხარეები უნდა მონაწილეობდნენ მარტო, თუ არ მისცემთ მათ ნებართვას, რომ ვინმე იყოს მათთან ერთად. მაგალითად, დაზარალებული ან მოწმე არასრულწლოვნების შემთხვევაში, შეიძლება საჭირო გახდეს მშობლის, ფსიქოლოგის ან სოციალური მუშაკის დასწრება. საჭიროების შემთხვევაში, თქვენ უნდა გადაწყვიტოთ, რომ იმ გამონაკვეთების გათვალისწინებით, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას, სხდომა ჩატარდეს არადისტანციურად.

### *3. ტექნოლოგიური მხარდაჭერა (მოსამართლეებისთვის, პერსონალისთვის და მხარეებისთვის)*

მაშინაც კი, თუ თქვენ და მხარეებს გაქვთ ადეკვატური ცოდნა, თუ როგორ გამოიყენოთ შესაბამისი ტექნოლოგია, ტექნოლოგიური მხარდაჭერა და დახმარება შეიძლება დაგჭირდეთ სხდომის მიმდინარეობისას წარმოქმნილი პრობლემების მოსაგვარებლად.

- სასამართლოს უნდა მიეწოდოს ტექნიკური სპეციალისტების გაზრდილი რაოდენობა. დისტანციური სხდომის მიმდინარეობისას ტექნოლოგიური ექსპერტის არსებობა უზრუნველყოფს პროცესის უსაფრთხოებას და სტაბილურობას.
- თქვენ დაგჭირდებათ ტექნოლოგიის კარგი ცოდნა, რათა წინასწარ სათანადოდ მოემზადოთ და შეუფერხებლად ჩაატაროთ სხდომა. თქვენ და თქვენი სასამართლოს პერსონალმა უნდა გაიაროთ ტრენინგი ასეთი სხდომების ჩასატარებლად საჭირო სხვადასხვა ტექნოლოგიებსა და სასამართლო ეტიკეტზე, რომელიც სათანადოდ უნდა იყოს ადაპტირებული დისტანციური სხდომებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ტექნოლოგიური მხარდაჭერა სასურველია, ის შეიძლება ყოველთვის ხელმისაწვდომი არ იყოს.
- კარგი ტექნოლოგიური მხარდაჭერა საშუალებას გაძლევთ ყურადღების კონცენტრაცია მოახდინოთ საქმის განხილვის არსებითი და პროცედურული ასპექტების მართვაზე.
- ის ამცირებს ტექნიკურ დაყოვნებებს ან შეფერხებებს.

- მხარეებისთვის და სხვა მონაწილეებისთვის შეიძლება არ იყოს კომფორტული პროგრამის გამოყენება და მათ ასევე აქვთ ასეთი ტექნოლოგიური მხარდაჭერის უფლება.
- გაიუმჯობესეთ კომუნიკაციის უნარ-ჩვევებს, რათა მხარეებს ონლაინ ეკონტაქტით და უკეთ მართოთ გამოწვევები და სტრესი, რომლებიც დისტანციურ საქმის განხილვას ახლავს.

#### 4. სხდომების დანიშვნა

- სხდომის დანიშვნისას თქვენ უნდა იცოდეთ, უერთდებიან თუ არა მხარეები სხვადასხვა დროითი ზონიდან თუ სხვადასხვა იურისდიქციის გავრცელების არეალიდან.
- მეტი დრო დაუთმეთ, ვიდრე არადისტანციურ სხდომას. გაითვალისწინეთ, მაგალითად, ტექნიკური სირთულეები, დაგვიანებები, პროცედურის ახსნის, ცუდი კავშირის შემთხვევაში განცხადებების გამეორების აუცილებლობა და ა.შ.
- შეიძლება საჭირო გახდეს უფრო ხშირი შესვენება; კვლევამ აჩვენა „ბუმში დაღლილობის“ ფსიქოლოგიური გავლენა.<sup>27</sup>
- სხდომის დაწყებამდე უზრუნველყავით მონაწილეების მიერ სკანირებული პირადობის მოწმობის წარმოდგენის შესაძლებლობა.
- საჭიროებისამებრ, უნდა იყოს გათვალისწინებული აუცილებელი ტექნოლოგიებისა და აღჭურვილობის უზრუნველყოფა მონაწილეებისთვის, რომლებსაც სხვაგვარად დისტანციური წვდომა არ ექნებათ სხდომაზე. ეს მოიცავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სათანადო განთავსებას ისევე, როგორც ჩვეულებრივ განხორციელებოდა მათთვის სასამართლო შენობაში გამართული სხდომების შემთხვევაში.

#### 5. სხდომების წერილობითი ოქმების წარმოება

დისტანციური სხდომის ოქმის წერილობითი წარმოებამ შეიძლება გამოიწვიოს კონკრეტული პრობლემები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა შექმნათ, ხელი მოაწეროთ და შეამოკლოთ (ის/ისინი) წერილობით ფორმაში:

- თუ ეროვნული კანონმდებლობა მოითხოვს, სხდომა უნდა იყოს ჩაწერილი.
- იფიქრეთ იმაზე, რომ ჩაწერით ვიდრე ოქმები იმ შემთხვევებში, როდესაც ეროვნული კანონმდებლობა და რეგულაციები იძლევა სხდომის ჩაწერის უფლებას (ან დუმს ამ საკითხზე).

<sup>27</sup> Bailenson, J. N. (2021). არაკვრებალური გადატვირთვა: თეორიული არგუმენტი ბუმში დაღლილობის მიზეზების შესახებ. ტექნოლოგია, გონება და ქცევა 2(1), <https://doi.org/10.1037/tmb0000030>

- სადაც ეს მოითხოვება, სასამართლომ უნდა შექმნას სხდომის ოქმი და გაუგზავნოს მონაწილეებს ელექტრონული ფოსტით, რათა შეამოწმონ და მოაწერონ ხელი, თუ ეს შესაძლებელია.
- დისტანციური მართლმსაჯულების მთელი პროცედურა დეტალურად და სრულად უნდა იყოს ასახული და ახსნილი სასამართლო სხდომის ტრანსკრიპტში - მათ შორის ინფორმაცია პლატფორმის შესახებ, რომელიც გამოიყენება ვიდეო შეხვედრისთვის, დისტანციური მონაწილეების ფიზიკური მდებარეობა, ახსნა-განმარტებები გამოყენებული პროცედურული ნესების შესახებ და მონაწილეების მიმართ გაკეთებული გაფრთხილებები.
- იმ შემთხვევებში, როდესაც სხდომა იწერება, ყურადღება ასევე უნდა მიექცეს კანონების მოთხოვნებს, რომლებიც უზრუნველყოფენ პერსონალურ მონაცემთა დაცვას და კონფიდენციალურობას, როგორცაა მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია (GDPR). უნდა განიხილოთ, ჩაიწეროთ თუ არა სხდომის ზოგიერთი ნაწილი, მაგალითად, როდესაც მონაწილეთა ვინაობა ან ისინი საუბრობენ პერსონალურ ინფორმაციაზე. ეს შეიძლება იყოს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იმ საქმეებში, როდესაც სხდომა გადაიცემა პირდაპირი ტრანსლაციით ან შეიძლება მომავალში გადაიცეს.
- გაითვალისწინეთ ტექნიკური მოთხოვნები, თუ დაგჭირდებათ სხდომის განმავლობაში მონაწილეთა პერიოდული შეჩერება, გაჩუმება ან გამოსახულების დაფარვა.

## 6. არაცნობიერი მიკერძოების გაცნობიერება

თქვენ უნდა იცოდეთ არაცნობიერი მიკერძოების შესახებ, თუ პირები ჩვენებას აძლევენ ვიდეო ბმულით. მაგალითად, ზოგიერთმა კვლევამ აჩვენა, რომ ბავშვები, რომლებიც ჩვენებას აძლევენ ვიდეო ბმულით, შეიძლება აღიქმებოდეს ნაკლებად სარწმუნოდ, რადგან მათი ქცევა სრულად ვერ შეფასდება ან იმის გამო, რომ ნაფიც მსაჯულები კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ, თუ რატომ აძლევენ მათ მტკიცებულებას დისტანციურად.<sup>28</sup>

<sup>28</sup> Goodman, G. S., Tobey, A. E., Batterman-Faunce, J. M., Orcutt, H., Thomas, S., Shapiro, C., & Sachsenmaier, T. (1998). ახლოდან დაპირისპირება: დახურული წრიული ტექნოლოგიის ეფექტი ბავშვ თვითმხილველთა ჩვენებებზე და ნაფიც მსაჯულთა გადანყვეტილებებზე. *კანონი და ადამიანის ქცევა*, 22(2), 165-203. <https://doi.org/10.1023/A:1025742119977>; Antrobus, E., McKimmie, B.M., and Newcombe, P. (2016). ბავშვების ჩვენების რეჟიმი და სანდოობის შესახებ ვარაუდების ეფექტი. *ფსიქიატრია, ფსიქოლოგია და სამართალი*, 23:6, 922-940, pp.3 DOI: 10.1080/13218719.2016.1152927

## ბ. მხარეთა იდენტიფიცირება

მონაწილეთა ვინაობის გადამოწმების სხვადასხვა გზა არსებობს:

- კამერაში პირადობის ან პასპორტის ჩვენების გზით. თუ არსებობს ეჭვები ან არ არსებობს დოკუმენტის მკაფიო ხილვადობა, პროცესი არ უნდა გაგრძელდეს სანამ ეს საკითხი არ მოგვარდება. კონფიდენციალურობის მიზნით, სხდომის ეს ნაწილი არ უნდა გადაიცეს პირდაპირ რეჟიმში ან არ უნდა იქნეს ჩანერილი.
- სხდომის დაწყებამდე მონაწილეთაგან პირადობის მოწმობის ან პასპორტის სკანირებული ასლის გაგზავნის მოთხოვნის გზით. ამის შემდეგ ეს შეიძლება შეადაროთ სხდომის დასაწყისში კამერაზე გამოსახულ პირადობის მოწმობებს, რაც სასამართლოს საშუალებას აძლევს შეადაროს და დაადასტუროს იდენტურობა.
- წინასწარი რეგისტრაციის გზით შესაბამისი პირადობის მოწმობით. მონაწილე შეიძლება დარეგისტრირდეს ონლაინ, ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებით, ეროვნული მონაცემთა ბაზის ან სხვა ციფრული პლატფორმის მეშვეობით. როდესაც ვინაობა დადასტურდება, სხდომა შეიძლება გაგრძელდეს.
- ნოტარიუსის/ადვოკატის ან სხვა ორგანოს ოფისში დადასტურების გზით. მონაწილეს შეუძლია დაესწროს დისტანციურ სხდომას ნოტარიუსის, ადვოკატის ან სხვა ორგანოს ოფისიდან. ეს გამოსავალი უზრუნველყოფს როგორც პირადობის დადასტურებას, ასევე პროცესში მონაწილეობისთვის უსაფრთხო გარემოს.
- პოლიციის მიერ იდენტიფიცირების გზით. პოლიციის თანამშრომელს შეუძლია მონაწილის იდენტიფიცირება მისსავე სახლში, მაგალითად, დისტანციური სხდომის დაწყებისას.
- მხარეთა ან მოწმეთა მიერ ცნობის დადასტურების გზით. თუ სასამართლოს ხელი არ მიუწვდება იდენტიფიკაციის სხვა გზაზე, სხვა მონაწილეებს, თუ ეს შესაძლებელია, შეუძლიათ პიროვნების იდენტიფიცირება და მათი ვინაობის დადასტურება. ამ ეტაპზე ცრუ განცხადებები უნდა ისჯებოდეს კანონით.

### გ. დისტანციური წარმოების დროს ქცევის პრინციპები

თქვენ გეკისრებათ პასუხისმგებლობა მართოთ სასამართლო სხდომა, უზრუნველყოთ სასამართლოს წესების დაცვა და უზრუნველყოთ შესაფერისი დეკორაციის არსებობა. ეს მოითხოვს სიფხიზლეს და მოთმინებას პროცესის განმავლობაში. საქმის სამართლიანი განხილვის საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტები, მათ შორის ბანგალორის პრინციპები, უნდა იქნას გამოყენებული<sup>29</sup>, როგორც საორიენტაციო კრიტერიუმი სასამართლოს ავტორიტეტის დაცვის მიზნით.

*რჩევები ეროვნული ხელისუფლების ორგანოების, იუსტიციის საბჭოების, მოსამართლეთა ასოციაციებისა და სხვა კომპეტენტური ორგანოებისთვის:*

- ხელისუფლების ორგანოებს, როგორცაა იუსტიციის საბჭოები, იუსტიციის სამინისტროები, იუსტიციის სკოლები, მართმსაჯულების აკადემიები და ა.შ., ეკისრება პასუხისმგებლობა მოამზადოს მოსამართლეები და მონაწილეები დისტანციური მართლმსაჯულებისთვის.
- მართლმსაჯულების კომპეტენტური ორგანოების მიერ უნდა შემუშავდეს და მოსამართლეებში გავრცელდეს სახელმძღვანელოები, თუ როგორ უნდა ჩატარდეს დისტანციური სხდომები (მაგ., პოდეკასტების, მათ გვერდებზე ვიდეოების განთავსების და სხვა საშუალებით).
- საქმის განხილვის შესახებ ასეთი ინსტრუქციები მონაწილეებს უნდა მიეწოდოს უწყებასთან ერთად და ხელმისაწვდომი იყოს სასამართლოს ვებგვერდზე.

#### 1. სხდომის დასაწყისში:

- დისტანციური სხდომები უნდა ჩატარდეს სხდომის მდივნის მეშვეობით და მან უნდა მართოს მონაწილეთა შეშვება სხდომაზე სანამ თქვენ შეხვალთ ვირტუალურ სასამართლო დარბაზში.
- მოსამართლემ დისტანციური სხდომის დასაწყისში უნდა განსაზღვროს ქცევის წესები (მაგ. ხმის/ვიდეოს გამორთვა და სხვა ფუნქციების გამოყენება, მონაწილეთა წარდგენა და კითხვების დასმის წესი).
- ახსენით, როგორ მოგვარდება ტექნიკური სირთულეები.
- დაარწმუნეთ მხარეები, რომ ყველა კანონიერი მოთხოვნა დაკმაყოფილებულია და დისტანციური სხდომა იქნება სრულყოფილი და სამართლიანი.

<sup>29</sup> მოსამართლის ქცევის ბანგალორის პრინციპები, მიღებული სასამართლოს ეთიკის ჯგუფის მიერ 2001 წელს, შესწორებული უმენაის სასამართლოების თავმჯდომარეთა მრგვალი მაგიდის შეხვედრაზე ჰააგაში, ნიდერლანდები, 2002 წლის 25-26 ნოემბერს, [https://www.unodc.org/pdf/crime/corruption/judicial\\_group/Bangalore\\_principles.pdf](https://www.unodc.org/pdf/crime/corruption/judicial_group/Bangalore_principles.pdf)



- საჭიროების შემთხვევაში და ამ სასამართლოს წესების შესაბამისად, განმარტეთ, რომ სხდომის ოქმი ჩაინერება ციფრულად, მაგრამ მონაწილეებს არ შეუძლიათ თავად ჩაინერონ ის.
- განმარტეთ პროცესის ხელშეშლის შედეგები.
- მიეცით მონაწილეებს საშუალება, დასვან შეკითხვები ამ საკითხებთან დაკავშირებით.
- თუ მონაწილეებს არ გააჩნიათ საჭირო ტექნოლოგია მათი სრული მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, ამ ეტაპზე, თქვენ უნდა განიხილოთ სხდომის გადადების შესაძლებლობა.

## 2. დეკორაციები

- დისტანციურ სხდომაზე დეკორაცია მნიშვნელოვანი ელემენტია სასამართლოს ავტორიტეტის გარანტირებისთვის.
- სასამართლოს ატრიბუტიკა უნდა იყოს ხილული. ამიტომ, ციფრულმა პლატფორმამ უნდა უზრუნველყოს სასამართლოს (მოსამართლის) განთავსება ეკრანის ცენტრში და სხვა მონაწილეების განლაგება პროცესში მათი როლის შესაბამისად.
- სათანადო განათება და ფონი ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს პროფესიული და სერიოზული ატმოსფეროს შექმნაში, რომელიც აუცილებელია სასამართლოს ავტორიტეტის შესანარჩუნებლად და სასამართლო სხდომის შეუფერხებლად წარმართვისთვის.
- ფორმალური ენისა და ფრაზების, ასევე მხარეთა ტიტულების გამოყენება სავალდებულოა ყველა მონაწილისთვის.
- დარწმუნდით, რომ მონაწილეები იცავენ სასამართლო ეტიკეტისა და კარგი პრაქტიკის დადგენილ წესებს, მათ შორის
  - როგორ მიმართონ მოსამართლეს და ერთმანეთს.
  - საუბრის ნებართვის თხოვნის პროცედურა.
  - კონკრეტული სხდომის ფორმატისა და თანმიმდევრობის წესები.
  - შედეგები წესრიგის დამრღვევი მონაწილეებისთვის; საჭიროების შემთხვევაში იმის გაგება, რომ წესრიგის დამრღვევ მონაწილეებს ხმა გაეთიშებათ.

- იცოდეთ, რომ დისტანციური სხდომა შეიძლება უფრო დიდხანს გაგრძელდეს და დამატებითი შესვენებები მოითხოვოს. შესვენებები უნდა იყოს საკმარისად ხშირი (მაგ., ხუთიდან თხუთმეტ წუთამდე ყოველ 60-90 წუთში), რათა თავიდან აიცილოთ მხედველობის დაქვეითება და ტკივილი. მონაწილეებს უნდა მიეცეთ უფლება, გადაადგილდნენ შესვენების პერიოდში (ოთახის ან შენობის დატოვება).
- თვალყური ადევნეთ მონაწილეებს მთელი პროცესის განმავლობაში, რათა დარწმუნდეთ, რომ ისინი სრულყოფილად მონაწილეობენ (მაგ., შეამონმეთ, ხომ არ არის მათი ეკრანი გაშვებული და ა.შ.) და სწრაფი და სათანადო რეაგირება მოახდინეთ პრობლემების არსებობის შემთხვევაში. შეიძლება დაგჭირდეთ იმის გამეორება, რაც ახლახან მოხდა, თუ მონაწილემ პროცესისთვის თვალყურის დევნა ვერ შეძლო.
- თქვენ უნდა მიმართოთ სასამართლოს სხვა პერსონალს, მათ შორის ტექნოლოგიების სპეციალისტებს, თუ ეს შესაძლებელია, რათა დისტანციური სხდომის შეუფერხებელი წარმართვა უზრუნველყოთ.

### 3. წესრიგის დამრღვევი მონაწილეების მართვა, დარღვევის შედეგები და პასუხისმგებლობა დარღვევისთვის

თქვენი, როგორც მოსამართლის მოვალეობაა სხდომის მიმდინარეობისას წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა. ეს მოიცავს ნებისმიერი მონაწილის მიერ წესრიგის დამრღვევი ქმედებების სანქცირებას. საქმის სამართლიანი განხილვის საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტები დაცული უნდა იყოს წესრიგის დამრღვევი მონაწილეების მართვისას. თუ არ არსებობს დისტანციური სხდომების კონკრეტული წესები, მაშინ იგივე წესები უნდა მოქმედებდეს, რაც არადისტანციურ სხდომებთან დაკავშირებით გამოიყენება.

- მხარეებს უნდა შეახსენონ იმ იურისდიქციებში, სადაც ამის საჭიროება არის, რომ პირის მიერ სასამართლო პროცესის არასანქცირებული ჩანაწერის ან ტრანსლაციის მცდელობა კანონდარღვევად ითვლება - რაც მოიცავს ფოტოებსაც. ამრიგად, დისტანციურად ჩატარებული სხდომის ფოტოების ან ვიდეოს გადაღება უკანონოა.
- მხარეებს ასევე უნდა შეახსენონ, რომ ცრუ ჩვენების მიცემა დანაშაულია.
- აკრძალვის ეკრანზე მუდმივად გამოსახვა დისტანციური სხდომის მიმდინარეობისას ასევე შეიძლება დაეხმაროს ყველა მონაწილეს, მუდმივად ახსოვდეთ ის.
- თქვენ უნდა აკონტროლოთ მონაწილეთა ქცევა სხდომის მიმდინარეობისას, რათა უზრუნველყოთ მათი სრული ყურადღება და ჩართულობა.
- გააფრთხილეთ მონაწილეები პრობლემური ქცევის შესახებ.

- ხმა გაუთიშეთ მონაწილეებს საჭიროებისამებრ.
- გამოაცხადეთ შესვენება ან გადადეთ სხდომა.
- თქვენი იურისდიქციის კანონებისა და წესების გათვალისწინებით, დააწესეთ ჯარიმა ან სხვა პროცედურული პასუხისმგებლობა.

#### 4. სხდომის დასასრულს:

- დაადასტურებინეთ, რომ ყველა მხარემ შეძლო პროცესისთვის თვალყურის დევნება.
- გაუგზავნეთ გადანყვეტილება, საჭიროების შემთხვევაში, ან აცნობეთ მხარეებს, როდის შეიძლება მიიღონ იგი.

## დ. კლიენტსა და ადვოკატს შორის კომუნიკაცია

მხარესა და მის ადვოკატს შორის კომუნიკაცია გარანტირებული უფლებაა. დისტანციური სხდომის მიმდინარეობისას მისი ხელშეწყობა შესაძლებელია სხვადასხვა გზით. აუცილებელია იმ პროგრამული პლატფორმების იდენტიფიცირება სხდომებისთვის, რომლებსაც შეუძლიათ უზრუნველყონ შესაბამისი მექანიზმები და ფუნქციები ასეთი პირადი და უპირატესი კომუნიკაციის მხარდასაჭერად. მაგალითად:

- **„შესვენების ოთახები“ ('Break-out rooms')** – ზოგიერთი პლატფორმა ითვალისწინებს განცალკევებულ ვირტუალურ ოთახებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ორ ან მეტ მომხმარებელს შორის პირადი და დაცული კომუნიკაციისთვის.
- **პირადი მიმოწერის“ ფუნქცია ('Private Chat' option)** – ზოგიერთი პლატფორმა ითვალისწინებს ცალკე, უსაფრთხო პირადი ჩატის ფუნქციას, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას დამცველისა და კლიენტის კომუნიკაციისთვის სხდომის მიმდინარეობისას.
- **„მხარის მართვად დატოვება“ ('Leave a party alone').** სასამართლოს შეუძლია გამოაცხადოს მოკლე შესვენება, რომელიც მოითხოვს სხვა მონაწილეების მიერ გარკვეული პერიოდის განმავლობაში პლატფორმის დატოვებას.
- **სხვა პირადი არხების გამოყენება.** სასამართლომ უნდა მისცეს მონაწილეებს კომუნიკაციის უფლება სხვა აპლიკაციებით ან ტელეფონით, თუ ეს კანონით არ არის შეზღუდული (მაგალითად, მონაწილეს შეუძლია დაუკავშირდეს თავის ადვოკატს ვოტსაფის აპლიკაციის (WhatsApp) საშუალებით, როცა თავად სხდომა ტარდება ზუმის აპლიკაციაში (Zoom)).

## ე. მონმის ჩვენება

თქვენ უნდა იყოთ ფხიზლად, აქტიურად და მგრძობიარე იმ მონმების საჭიროებებისა და გამონვევების მიმართ, რომლებიც ჩვენებას დისტანციურად აძლევენ. კერძოდ, ფხიზლად უნდა იყოთ ნებისმიერი დაუცველობის მიმართ, რომელიც წარმოიქმნება, მაგალითად, პირის ასაკის, გონებრივი ან ფიზიკური შესაძლებლობების ან ჯანმრთელობის გამო. მონმის სანდოობის დისტანციურად შეფასების ზოგიერთი გამონვევის გათვალისწინებით, შეიძლება გასურდეთ ფიცის ქვეშ განხორციელებული წერილობითი გამოკითხვის ოქმის უფრო მეტად გამოყენება.

### 1. როდის უნდა შეაჩეროს ან შეაწყვეტინოს სასამართლო მონმეს ჩვენების მიცემა?

- თუ მონმის უსაფრთხო გარემოს არასაკმარისი გარანტიები არსებობს, თქვენ უნდა გამოაცხადოთ შესვენება ან გადადოთ სხდომა.
- თუ სასამართლო ვერ ახერხებს მონმის იდენტიფიცირებას და არ არის დადგენილი ვინაობა, მაშინ ჩვენების მიცემა უნდა გადაიდოს იდენტიფიკაციის დასრულებამდე.
- თუ კავშირი ცუდია, უნდა შეწყვიტოთ ჩვენების მიცემის პროცესი და გამოაცხადოთ შესვენება, სანამ კავშირი უსაფრთხო და სტაბილური არ იქნება.

### 2. მონწყვლადი, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მონმების მხარდაჭერა და მართვა

- განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მონწყვლად მონმებს (მაგ., ბავშვებს, სპეციფიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის მქონე პირებს ან ძალადობის მსხვერპლებს), ასევე მათ, ვისაც თარჯიმანი სჭირდება. ამ მონმებს უნდა ჰქონდეთ დამატებითი მხარდაჭერა პროფესიონალების (ან მეურვეების) მიერ, საჭიროების შემთხვევაში.
- საჭიროების შემთხვევაში, მონმებს უნდა მიეწოდოს სასამართლოს მიერ დანიშნული თარჯიმნის მომსახურება, თუ ისინი არ საუბრობენ სასამართლოს ოფიციალურ ენაზე. ამას შეიძლება დასჭირდეს სპეციალური პროგრამული პლატფორმები ან სპეციალური ონლაინ პირობები. არ უგულებელყოთ ტექნიკური გამონვევების სერიოზულობა ერთზე მეტ ენაზე დისტანციური სხდომის ჩატარებისას; ტექნიკური გამონვევები მნიშვნელოვანია და ყველა პლატფორმა არ არის შესაფერისი. ეს ზომები წინასწარ უნდა იყოს შემუშავებული და უნდა მოხდეს სასამართლოს ხარჯზე.

### 3. არასათანადო ჩარევის პრევენცია და მართვა

- სამართლიანი სასამართლოს უფლება და მხარეთა თანასწორობის პრინციპი მოიცავს იმასაც, რომ მოწმეები არასათანადო ზემოქმედებას ან ჩარევას არ უნდა დაექვემდებარონ.
- სთხოვეთ მოწმეებს, რომ ჩვენების დაწყებისას განაცხადონ, რომ ისინი არასათანადო ჩარევას არ ექვემდებარებიან და რომ ოთახში მათთან ერთად არავინ არის.
- თუ სასამართლოს აქვს ეჭვები მოწმეზე არასათანადო ზემოქმედების შესახებ, სასამართლომ შეიძლება გადაამისამართოს მოწმე ჩვენების მისაცემად ოფიციალურად რეგისტრირებულ ადგილას, როგორცაა სასამართლო შენობა, სხვა შესაბამისი სახელმწიფო უწყება, ამის დასაშვებობისას შესაბამისი მხარის ადვოკატების ოფისები ან მედიატორების ოფისები.
- სასამართლომ შეიძლება განიხილოს სასამართლო შენობაში მოწმეების ჩვენების მისაცემად ოთახების გამოყოფა. ასეთ ოთახებში უნდა იყოს კომპიუტერი, რომელსაც აქვს საჭირო ტექნოლოგიური უზრუნველყოფა, რათა პირებმა მონაწილეობა მიიღონ სხდომაზე.
- მოწყვლადი მოწმეების შემთხვევაში სასამართლომ უნდა უზრუნველყოს მოწმესთან ერთად იმ პირების ყოფნა, რომლებსაც შეუძლიათ მოწმეს პროფესიული მხარდაჭერა შესთავაზონ.

განიხილეთ ნოტარიუსების მომსახურების გამოყენების შესაძლებლობა, რათა:

- მოწმეებს მიეცეთ საშუალება, წერილობით წარმოადგინონ თავიანთი ჩვენება.
- უზრუნველყონ მათთვის საოფისე ფართი და საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა დისტანციურ სხდომაზე მონაწილეობის მისაღებად.
- გადაამოწმონ მოწმის ვინაობის და შემდეგ დაადასტურონ ეს სასამართლოს წინაშე, სასამართლოს მიერ ჩვენების მიღებამდე.
- როდესაც მოწმეები ჩვენებას აძლევენ კერძო ადგილიდან, როგორცაა მათი სახლი, მათ უნდა მიაწოდონ სასამართლოს მისამართი.
- სთხოვეთ მოწმეს „გაჩვენოთ“ ის ოთახი, რომელშიც ისინი სხედან, კამერის შებრუნების გზით. საჭიროების შემთხვევაში, ეს პროცედურა შეიძლება განმეორდეს რამდენჯერმე მთელი სხდომის განმავლობაში.

- სთხოვეთ მონმეს, ჩვენება მისცეს ოთახიდან, რომელსაც მხოლოდ ერთი კარი აქვს და შემდეგ დარწმუნდით, რომ კამერა არის მიმართული ამ კარისკენ სხდომის მიმდინარეობისას. ამის შემდეგ შეგიძლიათ მოუწოდოთ ნებისმიერ ადამიანს, რომელიც შედის ოთახში, დაუყოვნებლივ დატოვოს ის.
- სთხოვეთ მონმეს, დაკდეს ეკრანისგან მოშორებით, რათა თავიდან აიცილოთ კომპიუტერიდან რაიმე მასალის წაკითხვა. თუ არსებობს ეჭვები, რომ მონმე კითხულობს მომზადებულ ჩანაწერებს, განიხილეთ კითხვების დასმის შესაძლებლობა, რათა გაარკვიოთ, ასეა თუ არა.
- მიანოდეთ კონფიდენციალური ჩაბის საშუალება, მობილური ტელეფონის ნომერი ან სხვა ელექტრონული მონაცემები, რათა მონმეს თქვენთან უშუალოდ დაკავშირების საშუალება მიეცეს, თუ მას რამე ანუხებს.
- გამოიყენეთ განცალკევებული „ოთახები“ ვებპლატფორმაზე, სადაც მონმეებს შეუძლიათ დაიცადონ, სანამ ნებას მისცემთ „შემოვიდნენ“ სხდომაზე.
- აუხსენით, როგორ შეიძლება მონმეებმა და სხვა მონაწილეებმა მიიპყრონ თქვენი ყურადღება სხდომის განმავლობაში (მაგ., ხელის ჟესტებით, მიმონერის ფუნქციის გამოყენებით, პირდაპირ კითხვების დასმით და ა.შ.).
- გაითვალისწინეთ ყველა ეს საკითხი და არასათანადო ჩარევის რისკი მონმის ჩვენების სარწმუნოების შეფასებაში.
- თუ ერთი და იმავე ადგილიდან რამდენიმე მონმე დაიკითხება დისტანციურად, არსებობს მონმეების ერთმანეთთან კომუნიკაციის რისკი. ამ რისკმა შეიძლება წარმოშვას დამატებითი ლოჯისტიკური გამოწვევები, რომლებიც განსხვავდება შესაბამისი ოთახების ფიზიკური განლაგების მიხედვით. ასეთი რისკების მინიმუმამდე დაყვანა შესაძლებელია სხვადასხვა გზით; მაგალითად, სასამართლოს შეუძლია აირჩიოს უფრო დიდი ოთახი საკმარისი ცარიელი სკამებით, სადაც ისინი, ვინც ჩვენება მისცა, ისხდებიან სასამართლოს ხედვის არეში, სანამ ყველა მონმე არ დაიკითხება.

### 3. საზოგადოების წვდომა

- გაითვალისწინეთ როგორც სამართლებრივი მოთხოვნები, ასევე ტექნიკური შესაძლებლობები სხდომის საჯაროობისთვის.
- იქნება თუ არა სხდომაზე დასწრება ხელმისაწვდომი ყველასთვის ან მხოლოდ წინასწარ დარეგისტრირებული მონაწილეებისთვის ან დასწრების უფლების მქონე პირებისთვის?
- როგორ განხორციელდება ეს (მაგ. კოდური სიტყვით დაცული შესვლა პროგრამაში და ა.შ.)? საჭირო იქნება თუ არა სხდომაზე წინასწარი რეგისტრაცია? სხდომები შეიძლება გადაიცეს ონლაინ ფართო აუდიტორიისთვის ან დამსწრეთა მცირე რაოდენობისთვის, რომლებიც წინასწარ დარეგისტრირდნენ და ჩაენერნენ.
- სხდომის დასაწყისშივე განუმარტეთ დამსწრეებს, მათ შორის ფართო საზოგადოებას და მედია საშუალებებს, რომ სხდომის უნებართვო ჩაწერა ან ტრანსლირება უკანონოა. დამატებითი განმარტებები მიეცით ასეთი ქმედების შედეგების შესახებ.
- ზოგიერთ სიტუაციაში უკვე განხორციელებული ჩანაწერების განთავსება არის შესაძლებელი სასამართლო სხდომის დასრულების შემდეგ სასამართლოს ვებგვერდზე ან ვიდეოგვერდების არხებზე (მაგ., იუთუბი (YouTube)).
- მედიის წარმომადგენლებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ სხდომაზე ონლაინ წვდომას.
- სასამართლოს შენობის ერთი ოთახიდან ჟურნალისტებისთვის დაცული ბმულის გამოყენება ასევე შესაძლებელია, რათა ჟურნალისტებმა სხდომას თვალყური ადევნონ.



## თავი 6: მონაცემთა უსაფრთხოება, კონფიდენციალურობა და შენახვა

### საკონტროლო სია



- ✓ საქმის დისტანციური განხილვა უნდა შეესაბამებოდეს მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) სტანდარტებს და/ან ნებისმიერ სხვა შიდა კანონსა და რეგულაციას მონაცემთა დაცვისა და კონფიდენციალურობის შესახებ.
- ✓ პირადი ინფორმაციის დაცულობა და უსაფრთხოება მონაცემთა მთლიანობის განუყოფელი ნაწილია და შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს ე.წ. „ღრუბელზე“ დაფუძნებული დამიწრული პლატფორმების გამოყენებით, სარეზერვო სისტემის უზრუნველყოფითა და მონაწილეთა სიის წინასწარ შექმნით.
- ✓ უნდა იცოდეთ დისტანციური სხდომის მონაწილეთა ადგილმდებარეობა.
- ✓ მხედველობაში იქონიეთ ფაილების გაზიარება ვიდეო შეხვედრის ან „ღრუბლის“ საცავის პლატფორმის საშუალებითა და ელ.ფოსტის საშუალებით წამოჭრილი გამონკვევები.
- ✓ საბოლოო ჯამში, სასამართლოს ევალუება დისტანციურად ან ციფრული საშუალებებით მიღებული მტკიცებულებების სარწმუნოების განსაზღვრა.

დოკუმენტების ავთენტიფიკაციისა და უსაფრთხოდ შესანახად:

- ✓ შეტყობინებების ან ელ.ფოსტის ასლები უნდა შეიცავდეს ელექტრონულ დროის ნიშანს, რომელიც აჩვენებს თითოეული შეტყობინების თარიღსა და დროს, ასევე გამგზავნის საკონტაქტო ინფორმაციას.
- ✓ სასამართლოს მიერ მიღებული ყველა დოკუმენტი, თუ უკვე არ არის გადასატანი დოკუმენტის ფორმატში (PDF), უნდა კონვერტირდეს და დაიბლოკოს გადასატანი დოკუმენტის ფორმატში (PDF), რათა თავიდან იქნას აცილებული შემდგომი რედაქტირება ან გაყალბება.
- ✓ გაზიარებულ და ციფრულად შენახულ მტკიცებულებებზე წვდომა უნდა იყოს კონტროლირებადი და წვდომის წერტილები შემღვდული.
- ✓ სასამართლომ უნდა დაასათაუროს თითოეული მტკიცებულება და ნათლად წარმოაჩინოს ისინი და უზრუნველყოს მათი ადვილად პოვნა.

## ა. შესავალი

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო მითითებები ელექტრონული მტკიცებულებების შესახებ ითვალისწინებს უამრავ ფუნდამენტურ პრინციპს, რომელიც უნდა გვახსოვდეს ელექტრონული მტკიცებულებების მართვისას:

- „სასამართლოების გადასაწყვეტია ელექტრონული მტკიცებულებების პოტენციური მტკიცებულებითი ღირებულება ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.“<sup>31</sup>
- „ელექტრონული მტკიცებულება უნდა შეფასდეს ისევე, როგორც სხვა სახის მტკიცებულება, განსაკუთრებით მისი დასაშვებობა, ავთენტურობა, სიზუსტე და მთლიანობა.“
- „ელექტრონული მტკიცებულებების მიმართ მოპყრობა არ უნდა იყოს მხარეთათვის არახელსაყრელი ან ერთ-ერთ მათგანისთვის უსამართლო უპირატესობის მიმნიჭებელი.“
- „ასევე აუცილებელია დაისვას შეკითხვა, თუ რა სამართლებრივი საფუძველი არსებობს მტკიცებულებების ელექტრონულად წარდგენისთვის.“
- „მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია (GDPR) ვრცელდება ევროკავშირზე და ეფუძნება შვიდ პრინციპს: კანონიერება, სამართლიანობა და გამჭვირვალობა; მიზნის შეზღუდვა; მონაცემთა მინიმუზაცია; სიზუსტე; შენახვის შეზღუდვა; მთლიანობა და კონფიდენციალურობა (უსაფრთხოება); და ანგარიშვალდებულება.“
- „თქვენ უნდა იცოდეთ ელექტრონულ მტკიცებულებებთან დაკავშირებული რისკები, მაგრამ მხარეების ვალდებულებაა მონაცემების სასამართლოს წინაშე დაცული საშუალებით წარმოდგენა.“

უფრო მეტიც, მხარეთა თანასწორობის პრინციპის ფარგლებში სახელმძღვანელოში ასევე ნათქვამია:

- „ელექტრონული მტკიცებულებების დამუშავება არ უნდა იყოს არახელსაყრელი სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართალწარმოების მხარეებისთვის. მაგალითად, მხარეს არ უნდა ჩამოერთვას ელექტრონული მტკიცებულებების ავთენტურობის ეჭვქვეშ დაყენების შესაძლებლობა; ან თუ

<sup>30</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო მითითებები ელექტრონული მტკიცებულებების შესახებ სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოებაში, (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2019 წლის 30 იანვარს, მინისტრთა მოადგილეების 1335-ე შეხვედრაზე), CM(2018)169-add1final: <https://rm.coe.int/guidelines-on-electronic-evidence-and-explanatory-memorandum/1680968ab5>

<sup>31</sup> იხილეთ ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, გარსია რუისი ესპანეთის წინააღმდეგ, (García Ruiz v. Spain), No. 30544/96, პარაგრაფი 28.

სასამართლო უფლებას აძლევს მხარეს წარმოადგინოს ელექტრონული მტკიცებულება მხოლოდ ამობეჭდილი ფორმატით, ამ მხარეს არ უნდა ჩამოერთვას შესაძლებლობა, წარმოადგინოს შესაბამისი მეტამონაცემები ამობეჭდილი ინფორმაციის სანდოობის დასადასტურებლად.<sup>32</sup>

როგორც მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო განმარტავს:

- “ელექტრონული მტკიცებულება არ უნდა იყოს დისკრიმინირებული და არც უპირატესი სხვა სახის მტკიცებულებებთან შედარებით.”
- „სასამართლოებმა ასევე უნდა დაამკვიდრონ ნეიტრალური მიდგომა ტექნოლოგიების მიმართ. ეს ნიშნავს, რომ ნებისმიერი ტექნოლოგია, რომელიც ადასტურებს მონაცემთა ავთენტურობას, სიზუსტეს და მთლიანობას, უნდა იქნას მიღებული.“

მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია (GDPR) და მონაცემთა დაცვისა და კონფიდენციალურობის შესახებ შიდა კანონები გავრცელდება დისტანციურ სხდომებზე და კომუნიკაციებზე სასამართლო პროცესებში ევროკავშირის შიგნით, ხოლო პერსონალური მონაცემების დამუშავება ევროკავშირის გარეთ შეიძლება დაექვემდებაროს მონაცემთა დაცვის რეჟიმს, რომელიც ეკვივალენტურია მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR)-ის რეჟიმისა.

<sup>32</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო მითითებები ელექტრონული მტკიცებულებების შესახებ სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2019 წლის 30 იანვარს, მინისტრთა მოადგილეების 1335-ე შეხვედრაზე), CM(2018)169-add1final: <https://rm.coe.int/guidelines-on-electronic-evidence-and-explanatory-memorandum/1680968ab5>

## ბ. წერილობითი მტკიცებულების სახეები

წერილობითი მტკიცებულება მოიცავს ელ. ფოსტას, ფოტოებს, ვიდეოებს და ა.შ. როგორც ბეჭდვით, ისე ციფრულ ასლებს. დისტანციური საქმის განხილვის დროს გაზიარებული მტკიცებულებების ყველაზე გავრცელებული სახეებია: დოკუმენტები, ელ. ფოსტა, ვიდეო და ტექსტური შეტყობინებები. ნივთიერი მტკიცებულებისთვის (იარაღი და ა.შ.) ნივთების ფოტო ან ვიდეო გადაღება შეიძლება და ეს გადაღებული მასალა შეიძლება ხელმისაწვდომი გახდეს ეკრანის გაზიარების საშუალებით.

- სასამართლომ უნდა დაუშვას ციფრული მტკიცებულებების ელექტრონულად წარდგენის შესაძლებლობა. სასამართლომ, საჭიროებისამებრ, უნდა უხელმძღვანელოს მხარეებს პროცესში და უზრუნველყოს ტექნიკური პირობები ასეთი მტკიცებულებების გაზიარებისა და გამოყენებისთვის.
- როგორც მოსამართლეს, თქვენ ყოველთვის უნდა გქონდეთ მტკიცებულებები თქვენს ან სასამართლოს დაქვემდებარებულ ელექტრონულ მოწყობილობებზე.

## გ. კონფიდენციალურობის საკითხები

კონფიდენციალურობა და უსაფრთხოება მონაცემთა სარწმუნოობის განუყოფელი ნაწილია და მონაცემთა სარწმუნოობა გადამწყვეტია საქმის სამართლიანი განხილვისთვის. კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა შესაძლებელია შემდეგით საშუალებებით:

- სასამართლოებმა უნდა გამოიყენონ დაშიფრული, „ღრუბელზე“ დაფუძნებული ვიდეო შეხვედრები.
- როგორც ზემოთ აღინიშნა, დაჟინებული რჩევაა, რომ მონაწილეები, შეძლებისდაგვარად, შეუერთდნენ დისტანციურ სასამართლო სხდომებს სტაბილური ინტერნეტ კავშირის გამოყენებით ადგილობრივი ქსელის (LAN/Ethernet) ინტერნეტით უკაბელო (WiFi) კავშირების ნაცვლად. სასამართლომ ამის შესახებ უნდა აცნობოს მონაწილეებს სხდომის დაწყებამდე.
- საქმის დისტანციური განხილვის შემთხვევაში სასამართლომ ყოველთვის უნდა უზრუნველყოს სარეზერვო სისტემის არსებობა ყოველი სხდომისთვის და დანიშნოს ტექნოლოგიის სპეციალისტი, რომელიც აკონტროლებს სისტემის ელექტრონულ გამართულობას და უზრუნველყოფს ტექნიკურ მხარდაჭერას.
- მონაწილეთა სია, მათი სრული სახელები, პროფესიული კუთვნილება და იმ ადგილების დეტალები, საიდანაც ისინი შეუერთდებიან სხდომას, წინასწარ უნდა იყოს შეთანხმებული და მხარეებისთვის მიწოდებული. საჯარო სხდომების ან/და სხდომების შესახებ, რომლებიც გაშუქდება მედიით, წინასწარ უნდა მიეწოდოს ინფორმაცია მონაწილეებს.
- თქვენ ან ტექნოლოგიაზე პასუხისმგებელმა პირმა მხოლოდ მონაწილეთა დამტკიცებულ ან წინასწარ დარეგისტრირებულ სიაში მყოფ პირებს უნდა მისცეთ უფლება, შეუერთდნენ დისტანციურ სხდომას წინასწარ შეთანხმებული პირობების შესაბამისად, სხდომის საჯარო ხასიათის გათვალისწინებით.
- უნდა არსებობდეს ცალკე ვირტუალური შესვენების ოთახების გამოყენების შესაძლებლობა. ეს ფუნქციონალური კოდური სიტყვით დაცული უნდა იყოს.

კონფიდენციალურობის საფრთხეები შეიძლება დაიყოს რამდენიმე კატეგორიად:

### 1. მტკიცებულებებზე არავტორიზებული წვდომა

დისტანციური სხდომების განმავლობაში მტკიცებულებებზე არავტორიზებული წვდომა და ციფრული მტკიცებულებების გაზიარება ქმნის კონფიდენციალურ ინფორმაციაში შეჭრის საფრთხეს და შეიძლება საფრთხე შეუქმნას მთელ სასამართლო პროცესს.

## 2. მდებარეობა

თქვენ უნდა იცოდეთ მხარეებისა და მონმეების ადგილმდებარეობის შესახებ დისტანციურ სხდომებზე. მდებარეობა შეიძლება წარმოშობდეს უსაფრთხოებისა და კონფიდენციალურობის შესახებ ეჭვებს, განსაკუთრებით ოჯახში ძალადობის შემთხვევაში. ზოგიერთი იურისდიქცია მოითხოვს, რომ მონმეებმა დაიფიცონ, რომ მათ სხვა არავინ ესწრება ან უსმენს. როგორც ზემოთ აღინიშნა, ისეთი ტექნიკის გამოყენება, როგორცაა მონმეებისთვის ოთახის ვიდეო დათვალიერების თხოვნა, რათა აჩვენონ, რომ სხვა არავინ იმყოფება, შეიძლება გამოყენებულ იქნას ამგვარი ჩარევის შესაზღუდად.

## 3. ფაილების გაზიარება

ფაილების გაზიარება ვიდეო შეხვედრების პლატფორმის ან „ღრუბელზე“ დაფუძნებული პლატფორმის მეშვეობით უფრო უსაფრთხოა, ვიდრე ელექტრონული ფოსტის გამოყენება. თუმცა:

- ყოველთვის უნდა გაითვალისწინოთ ინფორმაციის სენსიტიურობა, სასამართლო სხდომის სახე და საჭირო უსაფრთხოების დონე.
- ელექტრონული ფოსტა მეტად ხელმისაწვდომია, მაგრამ ის შეიძლება არ იყოს სენსიტიური ინფორმაციის მეტად უსაფრთხო გადაცემის მეთოდი. ელ.ფოსტას უკავშირდება შეცდომები, როგორცაა არასწორი სათაურის ველი, სასუველი მასალის მიმდის შეუძლებლობა ან სრულიად შეუსაბამო ფაილის მიმაგრება. გაგზავნისა და მიღების თარიღმა შეიძლება გამოიწვიოს გაუგებრობა, თუ რომელია უახლესი ვერსია. გარდა ამისა, უსაფრთხოების თვალსაზრისით, ელ. ფოსტა არის დესტრუქციული ვირუსებისა და მავნე პროგრამების შეღწევის გავრცელებული ადგილი.<sup>33</sup>

<sup>33</sup> გამოძიების ფედერალური ბიურო. 2021. CJIS უსაფრთხოების პოლიტიკის რესურს ცენტრი. [ონლაინ] ხელმისაწვდომია: <https://www.fbi.gov/services/cjis/cjis-security-policy-resource-center>

## დ. დოკუმენტების ავთენტურობა და მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა

მონაცემებით მანიპულირება და მასში ცვლილებების შეტანა მტკიცებულების სარწმუნოებას მნიშვნელოვან რისკებს უქმნის. ელექტრონული მტკიცებულების შეცვლა შესაძლებელია თარიღის, დროისა და შინაარსის შესაცვლელად. მტკიცებულებათა დამუშავების კარგი პრაქტიკა მნიშვნელოვანია იმის უზრუნველსაყოფად, რომ ციფრული მტკიცებულება დაცულია როგორც განზრახ, ასევე უნებლიე ცვლილებებისგან.<sup>34</sup>

- მტკიცებულება წარმოდგენილი უნდა იყოს დედნის სახით.
- მხარეს, რომელიც ეყრდნობა მტკიცებულებას, უნდა შეეძლოს მისი ავთენტურობის დეტალების წარმოდგენა როგორც მეტამონაცემებით, ისე სანდო პროვაიდერების მეშვეობით.
- სასამართლოებმა ყოველთვის უნდა გაითვალისწინონ მტკიცებულებების სარწმუნოება, მათი წყაროს ჩათვლით.
- შეტყობინებების სურათები მისაღებია და მოიცავს შეტყობინების გამგზავნის შესახებ მაიდენტიფიცირებელ ინფორმაციას. ჩვენება ან დადასტურება, რომ ასლი არის ტექსტური შეტყობინებების ნამდვილი და ზუსტი შესაბამისი, შეიძლება გამოდგეს ავთენტიფიკაციისთვის.
- სადაც შესაძლებელია, ტექსტური შეტყობინებების ან ელ. ფოსტის ასლები უნდა შეიცავდეს ელექტრონულ მონაცემებს, რომელიც აჩვენებს თითოეული შეტყობინების თარიღსა და დროს, ასევე გამგზავნის საკონტაქტო ინფორმაციას (ტელეფონის ნომერი და/ან ელექტრონული ფოსტის მისამართი)<sup>35</sup>.
- ცვლილებების თავიდან ასაცილებლად, ყველა მასალა უნდა იყოს გარდაქმნილი და დაბლოკილი გადასატანი დოკუმენტის (PDF) ფორმატში.

<sup>34</sup> UNODC. 2021. *კიბერდანაშაულის მოდული 6 ძირითადი საკითხები: ციფრული მტკიცებულებების მართვა*. [ონლაინ] ხელმისაწვდომია: <https://www.unodc.org/en/cybercrime/module-6/key-issues/handling-of-digital-evidence.html>

<sup>35</sup> ტექსტური შეტყობინებები, როგორც მტკიცებულება: მიმოხილვა. *MassLegalServices*, 2019 წლის 24 ოქტომბერი, <https://www.masslegalservices.org/content/text-messages-evidence-how-overview>

- დოკუმენტების ნოტარიულად დამოწმება ხშირად გამოყენებული მეთოდია სასამართლო დოკუმენტებისა და მხარეების მიერ წარმოდგენილი განცხადებების ავთენტიურობის უზრუნველსაყოფად. თუმცა, ისინი შეიძლება იყოს ძვირი დროისა და ხარჯის თვალსაზრისით. სასამართლოებმა ასევე უნდა განიხილონ ელექტრონული ხელმოწერის გამოყენება, როგორც დოკუმენტების ავთენტიფიკაციის საშუალება მტკიცებულებების წარდგენისას.<sup>36</sup> შიდა ბაზარზე ელექტრონული ტრანზაქციების ელექტრონული იდენტიფიკაციისა და სანდო სერვისების შესახებ რეგულაცია<sup>37</sup> წარმოადგენს სამართლებრივ ბაზას ელექტრონული ხელმოწერებისა და ავთენტიფიკაციის სერვისებისთვის.

ეროვნული კანონმდებლობა და წესები განსაზღვრავს რა არის საჭირო დოკუმენტების ავთენტიფიკაციის თვალსაზრისით. მაგალითები მოიცავს:

- რომ ელექტრონულად წარდგენილ დოკუმენტს თან ახლდეს წერილი;
- რომ დოკუმენტი წარდგენილი იყოს ელექტრონულ ხელმოწერასთან ერთად.

<sup>36</sup> Autenti. 2021. რა მეთოდები შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ ადამიანების ავთენტიფიკაციისთვის, რომლებიც იყენებენ ელექტრონულ ხელმოწერას? [ონლაინ] ხელმისაწვდომია: <https://autenti.com/en/blog/what-methods-can-be-used-to-authenticate-people-who-place-an-electronic-signature>

<sup>37</sup> ევროკომისია, 2021. ევროპის ციფრული მომავლის ფორმირება: eIDAS რეგულაცია [ონლაინ] ხელმისაწვდომია: <https://digital-strategy.ec.europa.eu/en/policies/eidas-regulation>; რეგულაცია (EU) No 910/2014 ევროპარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 23 ივლისის შიდა ბაზარზე ელექტრონული ტრანზაქციის ელექტრონული იდენტიფიკაციისა და სანდო სერვისების შესახებ და 1999/93/EC დირექტივის გაუქმების შესახებ <https://eur-lex.europa.eu/eli/reg/2014/910/oj>. შიდა ბაზარზე ელექტრონული ტრანზაქციების ელექტრონული იდენტიფიკაციისა და სანდო სერვისების შესახებ რეგულაცია ასევე ცნობილია როგორც „eIDAS რეგულაცია“.



## ე. გაზიარება და შენახვა

გაზიარებულ და ციფრულად შენახულ მტკიცებულებებზე წვდომა უნდა იყოს კონტროლირებადი და წვდომის წერტილები შეზღუდული. ელექტრონული აუდიტის აღრიცხვამ უნდა ასახოს, როდის და ვის მიერ ხდება ფაილებზე წვდომა. მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო მითითებები<sup>38</sup> მონაცემთა განთავსების, შენახვისა და დაარქივების შესახებ სასარგებლო მითითებებს იძლევა:

- „ელექტრონული მტკიცებულებები უნდა ინახებოდეს ისე, რომ დაცული იყოს ნაკითხვადობა, ხელმისაწვდომობა, მთლიანობა, ავთენტურობა, სანდოობა და, სადაც ეს გამოსაყენებელია, კონფიდენციალურობა და ინფორმაციის დაცულობა.“<sup>39</sup>
- „ის უნდა ინახებოდეს „საწყის ფორმატში“ (ანუ, არა ამობეჭდილი) და შესაბამისი კანონების დაცვით.“<sup>40</sup>
- „შენახული ელექტრონული მტკიცებულებების ნაკითხვადობა და ხელმისაწვდომობა გარანტირებული უნდა იყოს დროთა განმავლობაშიც, ინფორმაციული ტექნოლოგიების ევოლუციის გათვალისწინებით.“<sup>41</sup>
- „ელექტრონული მტკიცებულებების მთლიანობა უნდა შენარჩუნდეს ყველა ეტაპზე.“<sup>42</sup>
- „სასამართლოებმა უნდა დაარქივონ ელექტრონული მტკიცებულებები ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. ელექტრონული არქივები უნდა აკმაყოფილებდეს უსაფრთხოების ყველა მოთხოვნას და უზრუნველყოფდეს მონაცემთა მთლიანობას, ავთენტურობას, კონფიდენციალურობასა და ხარისხს, ისევე როგორც ინფორმაციის დაცულობის პატივისცემას.“<sup>43</sup>

<sup>38</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო მითითებები ელექტრონული მტკიცებულებების შესახებ სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საშარტალწარმოებაში, (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2019 წლის 30 იანვარს, მინისტრთა მოადგილეების 1335-ე შეხვედრაზე), CM(2018)169-add1final: <https://rm.coe.int/guidelines-on-electronic-evidence-and-explanatory-memorandum/1680968ab5>

<sup>39</sup> იქვე, სახელმძღვანელო მითითებები: „განთავსება და შენახვა“, სექცია. 25, გვ. 11.

<sup>40</sup> იქვე, სახელმძღვანელო მითითებების განმარტებითი ბარათი: „განთავსება და შენახვა“, სექცია. 44, გვ. 26.

<sup>41</sup> იქვე, სახელმძღვანელო მითითებები: „განთავსება და შენახვა“, სექცია. 27, გვ. 11.

<sup>42</sup> იქვე, სახელმძღვანელო მითითებების განმარტებითი ბარათი: „განთავსება და შენახვა“, სექცია. 46, გვ. 27.

<sup>43</sup> იქვე, სახელმძღვანელო მითითებები: „დაარქივება“, სექცია. 28, გვ. 11.







ამ პროექტის განხორციელება შესაძლებელი გახდა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო ნარკოტიკებთან დაკავშირებულ და კანონის აღსრულების საქმეთა ბიუროს (INL) გრანტითა და მუდმივი მხარდაჭერით.



**ცენტრალური და აღმოსავლეთ  
ევროპის სამართლის ინიციატივის  
(ცაეისი) ინსტიტუტი**

ვილა გრებოვკა  
Havlíčkovy Sady 58  
120 00 პრაღა  
ჩეხეთის რესპუბლიკა

[www.ceeliinstitute.org](http://www.ceeliinstitute.org)  
[office@ceeli.eu](mailto:office@ceeli.eu)